საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდ-ვითი სიტყვაა, ცყუილებით და ჭორებით ბურ-თის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ხუთშაბათი-კვირა, 25-28 თებერვალი. 2021 წ. №40-41 (9159-9160) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

უწმინდესის შეურაცხყოფა ერის შეურაცხყოფაა!



ყველა თავის „ალილუიას“ მღერის!..

③

გონიერი საქართველოს გულის გასახეთქად...

ოპოზიციონერ თაკო ჩარკვიანის ახალი „შედევრები“

ტერორიზმია, როცა მთელი მსოფლიო აცრას იტარებს და თქვენ, კოვიდის დროს, ვაქცინა არ შემოგაქვთ, რომ ხალხი მოკვდეს!

მინდა ღარიბაშვილს მივმართო, გუშინ გამოვიდა და ახსენა სიტყვა ტერორისტი. როგორც ჩანს, მას არ ჰყოფნის იმის განათლება, რომ ზუსტად იცოდეს სიტყვის მნიშვნელობა. მაშინ გეტყვით, რომ ტერორიზმია, როცა მთელი მსოფლიო აცრას იტარებს და თქვენ, კოვიდის დროს, ვაქცინა არ შემოგაქვთ, რომ ხალხი მოკვდეს.

* * *

ტერორიზმია, როცა მილიონიან კოლექციას, საათებს აგროვებ და ხალხს სოციალურებს უხსნი. ტერორიზმია, როცა უშიშროების გავლით გავრილოვი შემოგყავს, დამოუკიდებელ საქართველოში! გვაფურთხებ, გამპროტესტებლებს თვალებს თხრი და აწინაურებ იმათ, ვინ შემოიყვანა კომუნისტი გავრილოვი საკანონმდებლო ქვეყანაში. ქვეყანაში, სადაც სახელმწიფოებრიობის შელახვის გამპროტესტებლებს იჭერ, ხოლო მურუსიძეს აწინაურებ, ამას შერჩევითი სამართალი და არარსებობა ჰქვია სამართლისა“.

* * *

„**მაგათ** სურთ ევრაზიული კავშირი, ჩვენ ვხედავთ საქართველოს მოსალოდნელ ანექსიას. მიზანმიმართული კონფრონტაცია არის დასავლეთთან, ეს აქვთ მათ დიდი ხანია ჩაფიქრებული. ერთადერთი ამ სამშობლოს გამყიდველებს და საქართველოს გადამბარებლებს ეშინიათ ხალხის ტალღის. რევოლუცია არ მოხდება, ქვეყანას გადააბარებენ ეს ნაძირლები. ტელევიზიებში მეტი ბოდიალი აღარ შემიძლია, არანორმალურობა არის. მე გეუბნებით — ჯანყი საქართველოს გადასარჩენად! სახელმწიფოებრიობას ემუქრება დიდი საშიშროება, საქართველოს გადაბარება მიმდინარეობს, გავწვებით და ვერ გადააბარებთ“...

(გაზეთის მე-9 გვერდზე ვაგრძელებთ TAKO-სადმი მიძღვნილ ციკლს „თაგვმა თხარა, თხარაო, კატა გამოთხარაო“!)

არ ინერვიულოთ,

არც კობა დავითაშვილივით დაუმტვრევიათ, არც მოლაშვილივით უწამებიათ, არც გია მაისაშვილივით დაუჭრიათ შუბლში...

②

პუტინის რუსეთი დინოზავრია

გარი კასპაროვი:

უზარმაზარი სხეულითა და პატარა ტვინით

⑧

გელა ქოქიაშვილი

ამ ხმით დღეს თვით საქართველო მღერის...

⑦

ბადრი ქუთათელაძე

ჩემი ტერენტი

რა ცეცხლი მწვავდა და რა ვიყავი..!

⑥

ქეთევან შენგელია



სტალინის და ფოლკნერის ჩიბუხები...

⑪

არ ინერვიულოთ, არც კობა დავითაშვილივით დაუმტვრევიათ, არც მოლაშვილივით უწამებიათ, არც გია მაისაშვილივით დაუჭრიათ შუბლში...

მწერალი, 2010 წლის „პენ მარათონის“ გამარჯვებული ნინო გუგეშაშვილი სოციალურ ქსელში ემოციურ პოსტს აქვეყნებს, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ:

არ ინერვიულოთ, მელიას დაპატიმრებიდან მალევე დაუკავშირდნენ ოჯახს და შეატყობინეს, სად და როგორ პირობებში გადაიყვანეს მათი შვილი.

ადვოკატებმაც მალევე მოინახულეს.

არ დასჭირვებიათ ოჯახს, ადვოკატებს და მეგობრებს (როგორც ჩვენ გვჭირდებოდა მელიას პარტიის ხელისუფლებაში ყოფნის დროს) დღეების განმავლობაში ძებნა, პირადი არხებით რკვევა, სადაა ადამიანი, ცოცხალია თუ არა, რა დონეზე სცემეს და აწამეს პოლიციაში, ციხეში...

არც კობა დავითაშვილივით დაუმტვრევიათ ძვლებში სასიკვდილოდ და გაუტაციათ თბილისიდან 100 კილომეტრით დაშორებულ დახურულ ჰოსპიტალში, არც გია მაისაშვილივით დაუჭრიათ შუბლში საბედისწეროდ...

არ ინერვიულოთ, თმის ღერი არ ჩამოვარდნია, გაივლის ინსტანციებს და გამოვა ცოტა ხანში უფრო გაპუტკუნებული, არა მოლაშვილივით სასიკვდილოდ ნაწამები...

ძალიან არ მომწონს, რაც ხდება. ეს კი არა, ორი უცხო კაცი რომ ჩხუბობს ქუჩაში რაღაც სისულელეზე და საერთო ენა ვერ მოუძებნიათ, ისიც მასევდიანებს.

როგორ შეიძლება მომწონდეს, როცა უდიდესი ოპოზიციური პარტიის ლიდერს აპატიმრებენ.

როგორ შეიძლება მომწონდეს, როცა ეს უდიდესი ოპოზიციური პარტია სწორედ ამ ნიშნით „ირჩევს“ ახალ თავმჯდომარეს, რომელსაც მთელი ეს წლები არაფრით გამოუჩენია თავი, გარდა იმისა, რომ მუდმივად სადღაც შევარდნას ცდილობს თბილისში თუ რეგიონებში, მუდმივად კანონს არღვევს და პასუხს არ აგებს, მერე ქალებს, მოხუცებს და

ახალგაზრდებს იფარებს.

როგორ უნდა მომწონდეს, როცა პოლიტიკოსი ქალი, დედა, ახლო წარსულში პარლამენტის თავმჯდომარე და ორჯერ პრეზიდენტობის მოვალეობის შემსრულებელი, და კიდევ სხვა პოლიტიკოსი ქალები, დედები, დები — თანახმა არიან, ისევ სხვისი შვილების დასახიჩრების, თუნდაც გვამების ხარჯზე მოვიდნენ ხელისუფლებაში.

ვის აღარ მოუწოდეს ამ დღეებში, ვის აღარ მოუწოდა ნინო ბურჯანაძემ — ელჩებს, ღარიბაშვილს, მთავრობას, საპატრიარქოს, მსოფლიოს, გალაქტიკას, რომ გველოდება უბედურება, სისხლისღვრა და ჯანდაბა, ერთადერთი მელიას არ მოუწოდა „დიდმა პოლიტიკოსმა“! პარლამენტის თავმჯდომარეყოფილმა! ორჯერ პრეზიდენტობის მოვალეობის შემსრულებელმა! ისევ ხელისუფლებაში მოსვლის მსურველმა! ერთადერთი მელიას არ მოუწოდა, ან ნუ დააყენებს თავს კანონზე მაღლა, ან ნუ აიფარებს ქალებს და ახალგაზრდებს, მარტო გამაგრდეს სადაც უნდა.

როგორ უნდა მომწონდეს, როცა ყველა „უფროს ძმას“ მარჯვნიდან თუ მარცხნიდან, ზემოდან თუ ქვემოდან, ფეხებზე ჰკიდია რიგითი ქართველის ემოცია, ნიჭი თუ შელახული სამართლიანობის გრძნობა — თეთრაძეების



ოჯახის, შარაძეების, კრიალაშვილების, ხარძიანების, მოლაშვილების, აფრასიძეების, თორაძეების და უამრავი სხვა ოჯახის, დავითაშვილის 5 შვილის უსამართლობის და უმწეობის განცდები. „უფროს ძმებს“ მხოლოდ პოლიგონად, თავიანთი ომის და შრომის ბიზნესის პლატფორმად წარმოვუდგენივართ, თუ ადამიანებადაც? თუმცა, ისიც ვნახეთ ერთიორჯერ, რომ როცა საქართველოში ხალხმა მოინდომა, კიდევაც შეცვალა, სხვათა შეშფოთების მიუხედავად. მაგრამ მერე ველარ გააგრძელა...

და რატომ ვეღარ გააგრძელა? იმიტომ რომ ვისაც კი ჩააბარა ქვეყნის მართვა, ყველა ბიუჯეტის ხვრაზე გადაერთო, ან მიეყიდა ვიღაცას, ან ორივე ერთად.

საერთოდ, რა ადვილად ვიყიდებით!

და ახლა „თბილისის ფართო ქუჩებში დადის“ ათასობით სწავლაშეწყვეტილი სტუდენტი — „ლეილა, ლონდა, ნათია, ნანი“, ათასობით უმუშევარი და ლატაკი, პენსიონერი, ბავშვი „ელისო, ვაჟა, გიორგი, გივი“ ასობით დაცლილი სოფელი გვაქვს და დაუმუშავებელი მიწები; ვეტერანებს, ვინც მართლა სწირავდა თავს სამშობლოსთვის (ვისაც ამ სიტყვის გეშინიათ — „სამშობლო“, გაიქეცით)! 22 ლარი აქვთ ჯერაც დახმარება, ათასი სირცხვილი გვჭირს და როგორ შეიძლება მომეწონოს, თუ სპეცნაზის გამოყვანის შემდეგ საქართველოს მთავრობა ამ სირცხვილებსაც არ მიხედავს სასწრაფოდ, ან თუნდაც სამართალს არ გამართავს იმ დონეზე, რომ ხვალ ისევ უსამართლობამ არ გაიმარჯვოს და ეგ სპეცოპერაცია (რომელიც, ძალიან კარგია, რომ უსისხლოდ დასრულდა), აბსურდულად არ გამოეკიდოს ჰაერში მხოლოდ ძალის საჩვენებლად.

როგორ შეიძლება მომწონდეს, როცა ათასჯერ მივეცი თავს პირობა, რომ დავიკიდებ ყველაფერს და ჩემს საქმეს მივხედავ მხოლოდ, მაგრამ ვერ ვასრულებ და ისევ ამსიგრძე

ბოდიალს ვწერ — თუმცა ვწერ იმას, რასაც ვფიქრობ, და არა იმას, რაშიც ფულს მიხდიან.

და ვინც წერთ იმას, რაშიც ფულს გიხდიან, ვინც ჰონორარს იღებთ ასეთი ფბ პოსტების კონტროლისთვის და მათი ავტორების დაშინებისთვის, აქ ნუ შემომიხტებით, კილომეტრზე გცნობთ.

მელიაზე კი არ ინერვიულოთ — ნორმალურ კამერაშია, სახალხო დამცველმაც მოინახულა და არაფერი აკლია ტელევიზორის გარდა. კანონის მიხედვით, თურმე ტელევიზორი თუ უნდა, თვითონვე უნდა შეიძინოს პენიტენციარულ მაღაზიაში.

არ ვიცი, ეს კანონი მელიას მოეწონება თუ არა, მაგრამ ამაზეც არ იდარდოთ — ისეთი გულიანი სახალხო დამცველი გვყავს, იმდენს იზრუნებს ხალხზე, რომ მაგასაც ჩვენ გვაყიდვინებს“...

ნინო გუგეშაშვილი

ნიკოლოზ სამხარაძე: გავერთიანდეთ და უსაფრთხოების პრობლემები ერთად გადავწყვიტოთ!

ვერ ვიხსენებ მომენტს, როცა „ქართული ოცნება“ დაყოფასა და პოლარიზაციაზე საუბრობდა — ჩვენ ყოველთვის შერიგებასა და ერთიანობაზე ვსაუბრობთ, — ამის შესახებ საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავჯმდომარემ ნიკოლოზ სამხარაძემ ჟურნალისტებს განუცხადა.

მისი თქმით, თუ ოპოზიცია ისურვებს, რომ მათ ხალხის მიერ მინიჭებული მანდატი მიიღონ, ხელისუფლება მზადაა, ნებისმიერ ფორმატში ნებისმიერი სახით მათთან ისაუბროს.

„ჩვენთვის, როგორც მმართველი პარტიისთვის, ხელისუფლებისთვის მნიშვნელოვანია კანონის უზენაესობის პრინციპი. კანონის აღსრულების შემდეგ მთავარი საკითხი რაც დგას, არის, გავერთიანდეთ ერთი მიზნის გარშემო — ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისი აღმოიფხვრას. ამას სჭირდება იმ საკითხების მოძებნა, რაზეც ერთიანი პოზიცია გვექნება. საქართველოს ყველა მოქალაქეს სურს, რომ როგორც ხელისუფლება, ასევე ოპოზიცია დაკავებული იყოს არა ერთმანეთთან კინკლაობით, არამედ არსებული პრობლემების გადაჭრით. დროა, გავერთიანდეთ და უსაფრთხოების პრობლემები რაც ქვეყანას აქვს, ერთად გადავწყვიტოთ. ყველანაირი დაყოფა და პოლარიზაცია კიდევ უფრო გააღრმავებს უსაფრთხოების პრობლემებს, რაც ერთადერთ ქვეყანას რუსეთს აწყობს. ნიკა მელიას ყველა ბერკეტი ჰქონდა იმის, რომ ციხეში არ წასულიყო, მაგრამ მან და მისმა პარტიამ ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ ციხეში წასულიყო. მელიას ციხეში წასვლა მათი გადაწყვეტილებაა და შედეგები საკუთარ თავზე უნდა იწვნიონ“.

უწმინდესის შეურაცხყოფა ერის შეურაცხყოფაა!

ძველ ათენში ამბობდნენ: „ადამიანის ცხოვრებაში ყველაზე მაღლა კანონია, თუმცა დაუწერელი კანონები დაწერილზე უმეტესია.“ დიახ, დაუწერელ კანონს ეფუძნება ადამიანთა ნებისმიერი საზოგადოება. იგი მოითხოვს, „პატივი ვცეთ ღმერთს, ჩვენს სარწმუნოებას, გვიყვარდეს და ვმზრუნველობდეთ ქვეყანაზე, მომავალ თაობაზე და მოხუცებზე, გვეცოდებოდეს სუსტები“.

ამიტომ დგას დაუწერელი კანონი დაწერილზე მაღლა, რადგან დაწერილი კანონი თითოეულ სახელმწიფოს თავისი აქვს, მას ადამიანები ადგენენ, შეიძლება მისი გამოცემაც და გაუქმებაც. სამაგიეროდ,დაუწერელი კანონები მარადიულია და საზოგადოება, რომელიც მას არ იზიარებს, სწორ გზას და მომავალს არის აცდენილი.

და რა ხდება ჩვენს ქვეყანაში? რომელ კანონის დაცვას ვახერხებთ, დაწერილის თუ დაუწერელის ანუ მარადიულის?

როგორც ვხედავთ, არც ერთის და არც მეორის. ისეთ რეალობაში ვცხოვრობთ, დაწერილი კანონის აღსრულების სირთულის გამო პრემიერ-მინისტრი თანამდებობას ტოვებს. ხოლო მარადიული კანონის საოცარი უგულებელყოფით, სატელევიზიო სივრცის საშუალებით, ქვეყნის უმაღლეს სასულიერო პირს საშინელი ცილისწამებით შეურაცხყოფას აყენებენ და ერისთვის სულიერი საყრდენის გამოცლას ლამობენ?!

ცხადია, როცა ქვეყნის სულიერ საყრდენს თანდათან საფუძველს ურყევენ, მაშინ დაწერილი კანონების აღსრულების შესაძლებლობაც თანდათან იკლებს. ფაქტიც სახეზეა... ალბათ დამეთანხმებით, უხერხულია, როცა ამ კონტექსტში გვიწევს ლაპარაკი ილია მეორეზე, რომელმაც, შეიძლება ითქვას, რეალურად, თავიდან გააქრისტიანა საქართველო, აღადგინა, ახლიდან ააშენა ასობით ქრისტიანული ტაძარი თუ მონასტერი, საერთოდ გაამდიდრა ქართული ეკლესია და მაშასადამე ლიბერალური კანონებით მოსალოდნელ გაყიდვას გადაარჩინა და ქვეყანას შეუნარჩუნა, ძალიან ფასეული, მნიშვნელოვანი უძრავი თუ მოძრავი ქონება. და ამის კეთება, ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდიდან, 70-80-იანი წლებიდან დაიწყო! არ შეიძლება ყველაფერი დავივიწყოთ!

ამიტომ პატრიარქის შეურაცხყოფის გამო თუ ხმას არ ამოვიღებთ, მაშინ ვინ ვართ ჩვენ, ქვეყნის მოსახლეობის ეს, ადრე 95% და ახლა თუნდაც 80%, რომლებიც ქვეყნის ყველაზე პრიორიტეტულ ინსტიტუტად სწორედ უწმინდესის მოღვაწეობიდან გამომდინარე, საქართველოს ეკლესიას მივიჩნევთ? რა ერი ვართ და როგორი ქრისტიანები?!

პატრიარქის შეურაცხყოფის გამო თუ ხმას არ ამოვიღებთ, მაშინ ვინ ვართ ჩვენ, ქვეყნის მოსახლეობის ეს, ადრე 95% და ახლა თუნდაც 80%, რომლებიც ქვეყნის ყველაზე პრიორიტეტულ ინსტიტუტად სწორედ უწმინდესის მოღვაწეობიდან გამომდინარე, საქართველოს ეკლესიას მივიჩნევთ? რა ერი ვართ და როგორი ქრისტიანები?!

ყველა თავის „ალილუიას“ მღერის!..

ამიტომ სანამ ქვეყანა, მართლა, თავზე არ დაგვცევია, დროა, შორიდან შევხედოთ მოვლენებს და კონკრეტულად იმ ღონისძიებების გატარება მოვინდომოთ, რომელიც რამენაირად წაგვადგება და თანდათან შეამცირებს ამ დესტრუქციულ, მხოლოდ ზიანის მომტან მიმდინარე პროცესებს.

პირველ რიგში, ის მთავარი პრიორიტეტები გავიხსენოთ, რა საფუძვლებზეც დგას დღეს ქართული სახელმწიფო: მაგალითად, ჩვენი პოლიტიკური წყობის საფუძველი, ვიცით, ლიბერალურ-დემოკრატიული მმართველობაა... ხოლო ჩვენი ეკონომიკის საფუძველს საბაზრო ეკონომიკა **წარმოადგენს... და რაც მთავარია, საერთოდ, სახელმწიფოს სიძლიერედ, მისი დაცვის მთავარ გარანტად სწორედ კანონის უზენაესობა სახელდება!**

ისიც მშვენივრად ვიცით, დემოკრატიისა და თავისუფლების სახელით აშენებულ, ბაბილონივით ჭრელ ამ ჩვენს ქვეყანაში ყველა სხვა სარწმუნოების, ეროვნების, განსხვავებული პოლიტიკური თუ სქესობრივი ორიენტაციის მქონე ადამიანების უფლებების დაცვას მრავალი სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაცია ემსახურება! ხოლო ჩვენი ეროვნული, სარწმუნოებრივი და სწორედ, დაწერილი და დამტკიცებული ქვეყნის კანონმდებლობის დაცვის შესაძლებლობა არ გვაქვს და მისი გატარების უფლება შეიძლება არ მოგვეპოვებოდეს?! დიახ, ეს ის შემთხვევაა, სადაც გოეთე იტყოდა: **„როცა სამართალი იქცევა უსამართლობად, მაშინ წინააღმდეგობის გაწევა ყველა ადამიანის ვალდებულებაა“.**

დიახ, ჩვენს რეალობაში, არსებული კანონები ვერ კანონობს, როცა მისი საშუალებით ქვეყნის დაცვა გვჭირდება და ამ ამბავს პრემიერის თანანმდებობა ეწირება. ხოლო, როცა კანონობს იგი, უკვე, ქვეყნის სახელმწიფოებრივ და ეროვნულ ინტერესებს ეწინააღმდეგება!! მე კი, ამ ყველაფერს დავამატებ, წახვედით და დესტაბილიზაციას აგვარიდეთ, ბატონო გიორგი, მაგრამ იქნებ ისეთი გარემოს შექმნაც მოახერხოთ, რომ მოსვლითაც გაგვახაროთ!

აი, ასეთ მდგომარეობაშია ქვეყნის სიძლიერის მთავარი პრიორიტეტი.

ისიც სათქმელია, დასავლეთიდან მხოლოდ წამლეკავი ლიბერალური კანონები და ხელისუფალთა, პარლამენტართა, პოლიტიკოსთა მაღალი ხელფასები, პრემიები არ უნდა იქნეს კოპირებული და გადმოტანილი ჩვენს ცხოვრებაში... არც ერთ ნორმალურ სახელმწიფოში არ არის ისეთი დაბალი ხელფასები, პენსიები, როგორიც ჩვენთან. რაც არ იძლევა საბაზრო ეკონომიკის განვითარების საშუალებას. **მიუხედავად იმისა, რომ საბაზრო ეკონომიკა სახელდება სწორედ, ქვეყნის სიძლიერის ასევე მთავარ, მნიშვნელოვან პრიორიტეტად და მისი ეკონომიკური განვითარების საფუძვლად!!**

ანუ არც ეს პრიორიტეტია სწორად დაცული და განსაზღვრული ჩვენს ქვეყანაში!

სწორედ ამ პრიორიტეტის დაცვის გამო არის, რომ დასავლეთში მოსახლეობა ისეთ ხელფასებს, პენსიებსა და სოციალურ დახმარებას იღებს, რომლებიც თითქმის შეესაბამება გაეროს მიერ დადგენილ სახელფასო განაკვეთებს და რითაც მნიშვნელოვნად ძლიერდება მათი საბაზრო ეკონომიკა, რადგან გაცემული ხელფასები, პენსიები თუ სოციალური დახმარებები ყიდვა-გაყიდვის რეჟიმით თითქმის უკან უბრუნდება სახელმწიფოს და შესაბამისად, ამ ქვეყნების ფინანსურ-ეკონომიკურ მდგომარეობას აძლიერებს.

ამიტომ უკვე დროა, თუ უკვე დაგვიანებული არ არის, მოვითხოვოთ, ჩვენთანაც შეიქმნას და განსორციელდეს ისეთი კანონპროექტები და კანონები, რომლების ქვეყნის ეკონომიკურ განვითარების ხსენებული პრიორიტეტის და მარადიული კანონების თანხვედრი იქნება.

იმისათვის, რომ გაიზარდოს ყოველგვარ სამართლიანობას მოკლებული ჩვენთან არსებული სახელფასო, საპენსიო, სოციალური დახმარებების დადგენილი განაკვეთები და შესაბამისად გაძლიერდეს ჩვენი საბაზრო ეკონომიკა, ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი ქვეყნის ეკონომიისათვის, საჭიროა:

1. დადგინდეს ქვეყნის რეალური ეკონომიკური განვითარების მდგრადი ინდექსი;

2. დადგინდეს ასევე შეფარდებითი კოეფიციენტი სახელმწიფო საკუთრებასა და კერძო საკუთრებას შორის;

3. ამ ორი ინდექსის დადგენის შემდეგ კი შესაძლებელი გახდება, დადგინდეს შეფარდებითი კოეფიციენტი უდიდეს ხელფასსა და უმცირეს ხელფასს შორის;

ამ შემთხვევაში ჩვენი ეკონომიკის განვითარების საფუძვლები მისაღები გახდება ყველა სოციალური ფენისთვის და ამით საგულისხმოდ შემცირდება ეს წყეული პოლარიზების საფრთხეები. ბოლოს და ბოლოს, გაერთიანდება ეს ქვეყანა. აღნიშნული ინდექსების დადგენა, ეკონომიკური კრიზისის დროს თავად მაფიოზურ იტალიაშიც კი მოახერხეს. აღარ ვლაპარაკობ სკანდინავიის ქვეყნებზე, სადაც ამ პრინციპების დაცვის გამოისობით, მაღალი ეკონომიკური დონეებია მიღწეული.

ხოლო რაც შეეხება, ჩვენი პოლიტიკური პრიორიტეტის: ლიბერალურ, დემოკრატიული პრინციპებს და პლურალიზმს;

ამასთან დაკავშირებით, უპირველესად, 11 თებერვლის ტვ პირველის „რეაქცია“ გამახსენდა, რომელსაც დიდი გულისტკივილით ვუყურე. ხოლო პატრიარქის შეურაცხყოფამ დაუცველობის, უსამართლობის განცდა გამიმძაფრა და მთელი ღამე არ დამაძინა. წმყვანი ყოველთვის გადაცემის ფორმატიდან გამომდინარე იწვევს შესაბამის რესპონდენტს. ისიც იცის, დაახლოებით მაინც, ვინ რა „ალილუიას მღერის“. ამიტომ არ შემიძლია იმ გადაცემაში მიმდინარე „ვნებათა ღელვა“ მოულოდნელ ფაქტად ჩავთვალო. ამ „ალილუიას“ მსგავს განცხადებებს, რახან ერთხელ გაუვიდათ, ყოველგვარი მტკიცებულების გარეშე, უკვე კარგა ხანია, დიდი მონდომებით აჟღერებენ. იმაშიც დარწმუნებული იყავით, მტკიცებულებები რომ ჰქონდეთ, ყოველდღიურ „ჰიმნად“ მოგვასმენინებდნენ ამ უსირცხვილო ცილისწამებას...

პრიორიტეტებზე შეთანხმების გარეშე პლურალიზმი ჭეშმარიტ საზრისს უკეტავს გზებს...

დიახ, უკვე მეტისმეტი მოსდით და ყველა ზღვარს გადააბიჯეს. ადრე ამდენს ვერ ბედავდნენ. მიაჩნიათ, რომ ხანდაზმულ ადამიანს ადვილად მოერევიან...

არ ითვალისწინებენ, რომ ადამიანის რთული ენერგოსისტემა ენერგიის მუდმივობის კანონს ექვემდებარება. ლოგიკური იქნება თუ ვიტყვით, რომ ადამიანი და სამყარო ერთმანეთის მიმართ ღია სისტემებია. ყველა ადამიანი, თავისი ამქვეყნიური მისიით და ინდივიდუალური ბიომაგნიტური ველით საკუთარ ფუნქციას ასრულებს სამყაროს კანონზომიერ პროცესში. ზოგი ხანდაზმულ ასაკამდე, ზოგიც ადრიანად გვტოვებს. ამიტომ არის, რომ მიუხედავად ხანდაზმული ასაკისა, ჩვენი უწმიდესის ქადაგებები და ეპისტოლეები სავსეა აუცილებელი, ბრძნული მოსაზრებებით და ღვთიური წინასწარმეტყველური რეკომენდაციებით, რომლებიც ჰაერივით სჭირდება ამ რთულ, აგრესიულ სამყაროში გზის გასაკვლევად ჩვენს ქვეყანას. მასზე და საერთოდ მოხუცი ადამიანის ზრუნვის აუცილებლობას ადასტურებს ქრისტიანული ათი მცნებიდან მეხუთე მცნება და ხსენებული უძველესი მარადიული კანონები, სადაც ხაზგასმით არის მითითებული მოხუცი, სუსტი ადამიანების მიმართ სიყვარულისა და ზრუნვის გამოვლენის აუცილებლობა. **დიახ, უწმინდესის შეურაცხყოფა ერის შეურაცხყოფაა.**

* * *

სხვათა შორის ერის შეურაცხყოფაზე გავრილოვის თემა გამახსენდა... მსოფლიოს მართლმადიდებელთა კავშირის მოწვეული თავმჯდომარის პარლამენტის სავარძელში მოთავსება, ოპოზიის უმრავლესმა პარტიებმა „წმინდა სავარძლის შეურაცხყოფად“ მონათლეს და ამ მიზეზით პარლამენტი და მთელი ქვეყანა ლამის დაანგრიეს. ხოლო, როცა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესს, ბრძენ, უხუცეს ღვაწლმოსილ ადამიანს საშინელი შეურაცხყოფა მიაყენეს, **ქვეყნისთვის ამ სამარცხვინო ფაქტზე პროტესტი, ოპოზიციის არც ერთ ფრთას არ გამოუხატავს. მიუხედავად იმისა, რომ თითქმის არც ერთი მათგანისთვის არ დაუკლია საჭირო ყურადღება და თანადგომა ცხოვრების გარკვეულ პერიოდში ჩვენს პატრიარქს.**

დიახ, როგორც ვხედავთ, წყალი ბოლომდე ამღვრეულია. ქვეყნად არსებული არც ერთი პრიორიტეტი არ მუშაობს და ვერ იცავს ჩვენი სახელმწიფოს ვერც იერსახეს და რაღა თქმა უნდა, ვერც მის სიძლიერეს განაპირობებს. ამიტომ გავკადნიერდი და ვთქვი, რეფერენდუმია ჩასატარებელი და ახალი პრიორეტეტებია მოსაძებნი-მეთქი.

იხ. 5 გვ.

თბილისის მერიაში მთავრობის სხდომა გაიმართა

სამშენებლო ამნისტიის კანონის ამოქმედება აუცილებელია...

თბილისის მერიაში მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომა გაიმართა. დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ რამდენიმე მნიშვნელოვანი განცხადება გააკეთა.

კახა კალაძემ ყველა იმ ადამიანს, ვინც სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოებში იყო ჩართული, მადლობა გადაუხადა.

„გუშინ ძლიერმა ქარმა დედაქალაქის სხვადასხვა რაიონში გარკვეული პრობლემები შექმნა. ძირითადად, ეს იყო საბურთალოს, გლდანისა და ნაძალადევის რაიონები, რომლებიც ყველაზე მეტად დაზარალდა. ქარმა გარკვეულ ლოკაციებზე სახლებს სახურავები გადახადა. იყო ხის წაქცევის რამდენიმე შემთხვევა, ასევე, რამდენიმე ლოკაციაზე ავარიულ სახლებში, სადაც არავინ ცხოვრობს, კედლის ჩამონგრევის ფაქტები. მინდა, მადლობა გადავუხადო „ეკოსერვის ჯგუფს“, ათივე რაიონის გამგეობას, მუნიციპალურ ინსპექციას, ყველა იმ ადამიანს, ვინც გუშინ მთელი დღის განმავლობაში და ღამის საათებში მუშაობდა და ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ პრობლემა რაც შეიძლება სწრაფად მოგვარებულიყო“, — აღნიშნა კახა კალაძემ.

მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომაზე ასევე აღინიშნა, რომ თბილისის მერიამ საქართველოს პარლამენტს „სამშენებლო ამნისტიის შესახებ“ კანონპროექტი წარუდგინა, რომელიც გარკვეულ დარღვევებზე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას მოითხოვს. კახა კალაძის განცხადებით, ამნისტია შეეხება ყველა ტიპის მშენებლობას, პირველიდან მეხუთე კლასის ჩათვლით, რომელიც მშენებლობის ნებართვის საფუძველზეა ნაწარმოები და მშენებლობა 2020 წლის 18 აგვისტომდეა დასრულებული.

„გასულ წელს ვიცე-მერს ირაკლი ხმალაძეს დაევალა საკმაოდ მნიშვნელოვან კანონპროექტზე მუშაობა. დარწმუნებული ვარ, მას პარლამენტში დიდი მხარდაჭერა ექნება. კანონპროექტი შეეხება სამშენებლო ამნისტიას და გარკვეულ დარღვევებზე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას მოითხოვს. ჩვენ საკანონმდებლო პაკეტი მოვამზადეთ და პარლამენტში წარვადგინეთ. მიმდინარეობს მუშაობა. შემუშავებული და შეჯერებულია ყველა პრინციპი, რაც ამ ინიციატივაში მნიშვნელოვანია. ამნისტია შეეხება ყველა ტიპის მშენებლობას, პირველიდან მეხუთე კლასის ჩათვლით, რომელიც ნაწარმოებია მშენებლობის ნებართვის საფუძველზე და მშენებლობა დასრულებულია 2020 წლის 18 აგვისტომდე. თუ დარღვეულია K1, K2, K3 პარამეტრი, ექსტერიერი ან ინტერიერი, მიჯნის ზონა, განაშენიანების რეგულირების ხაზები, განაშენიანების სიმაღლის რეგულირების ხაზები, ფუნქციური ზონა, ავტოსადგომების რაოდენობა ან პროექტის კონსტრუქციული ნაწილი, თუმცა მათი უსაფრთხოება დადასტურებულია აკრედიტებული ექსპერტის მიერ, ყველა ზემოთ ჩამოთვლილი დარღვევა ჩაითვლება საპატიოდ და ჩამოიწერება დარღვევებიდან გამომდინარე დაკისრებული ჯარიმები“, — აღნიშნა კახა კალაძემ.

მისივე თქმით, აღნიშნულ საკანონმდებლო პაკეტში, ამნისტიის გარდა, გაწერილია მთელი რიგი პრევენციული ღონისძიებები. მათ შორის, მუნიციპალიტეტის მოთხოვნით, მშენებლობის ხელმეორედ შეუჩერებლობა, სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას გამოიწვევს.

„ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ამ შენობა-ნაგებობების მესაკუთრეებს დღეს თბილისის მოსახლეობა წარმოადგენს. რადგან მოქმედი კანონმდებლობა არ იძლეოდა სრულფასოვანი და ეფექტური ზედამხედველობისა და დარღვევებზე სათანადო რეაგირების საშუალებას, თბილისში მივიღეთ ასეულობით დასრულებული მშენებლობა, რომელიც სხვადასხვა დარღვევით განხორციელდა და დღეს, ამ ობიექტების მესაკუთრეებს სწორედ თბილისელები წარმოადგენენ. ჩვენ მიერ პარლამენტისთვის შეთავაზებული საკანონდებლო პაკეტი არ ითვალისწინებს მხოლოდ ამნისტიას და პატიებას, არამედ აყალიბებს მთელ რიგ პრევენციულ ღონისძიებებს.

რამდენიმე წლის წინ მსგავს დარღვევებზე გავზარდეთ ჯარიმები, რამაც გარკვეული შედეგები გამოიღო, მაგრამ ფაქტია, რომ ვდგავართ სამშენებლო კომპანიების მხრიდან შეგნებული და მიზანმიმართული დარღვევებისა და მათგან გამოწვეული პრობლემების პირისპირ. სწორედ ამიტომ, შემოგვაქვს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. კერძოდ, მუნიციპალიტეტის მოთხოვნით, მშენებლობის ხელმეორედ შეუჩერებლობა გამოიწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. პირველ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, იქნება ჯარიმა. გადავახდევინებთ ჯარიმას, თუ არასწორად ხორციელდება მშენებლობა და შეუსაბამოო არქიტექტურულ ნებართვასთან. თუ ხელმეორედ არ იქნება გამოსწორებული, ეს უკვე სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაში გადავა“, — განაცხადა თბილისის მერმა.

კახა კალაძის თქმით, საკანონმდებლო პაკეტის მესამე ნაწილი ეხება შენობა-ნაგებობების ექსპლუატაციაში შესვლის საკითხს. კერძოდ, კანონში ცვლილება ითვალისწინებს ჯერ კიდევ ექსპლუატაციაში მიუღებელი შენობა-ნაგებობის ელექტროენერგიით და ბუნებრივი გაზით მომარაგების აკრძალვას.

მძღოლებს შევახსენებთ!

შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო შეგახსენებთ, რომ სატრანსპორტო საშუალების ძველი ნიმუშის სახელმწიფო სანომრე ნიშანს იურიდიული ძალა უნარჩუნდება 2021 წლის 31 მარტის ჩათვლით.

ამის შესახებ ინფორმაციას შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო ავრცელებს.

მათივე ცნობით, ვინაიდან, ქვეყნის მასშტაბით მიმოქცევაში დარჩენილია დიდი რაოდენობის ძველი ნიმუშის სანომრე ნიშანი, მომსახურების სააგენტო მოუწოდებს შესაბამისი სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრეებს, დროულად მიმართონ მომსახურების სააგენტოს სტრუქტურულ ერთეულებს სანომრე ნიშნის შესაცვლელად.

„აღსანიშნავია, რომ დღეიდან ძველი სარეგისტრაციო ნიშნის მქონე სახელმწიფო ნომრების ახლით შეცვლისას, სავალდებულო აღარ არის სატრანსპორტო საშუალების სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულებში მოყვანა და დათვალიერება, იმ შემთხვევაში თუ დაინტერესებული პირის სახელზე რეგისტრირებული სატრანსპორტო საშუალება არ სხვისდება და მისი მონაცემები (მარკა, ძარას ტიპი, ფერი, საწვავის ტიპი, ძრავას ნომერი ან მოცულობა და ა.შ) არ არის შეცვლილი.

გარდა ამისა, დღეიდან მომსახურების სააგენტოს მობილური აპლიკაციის საშუალებით, მსუბუქი ავტომობილის მესაკუთრე ფიზიკურ პირს შეუძლია დისტანციურად მოითხოვოს ძველი ნიმუშის რეგისტრაციის ნომრის შეცვლა ახლით, იმ შემთხვევაში თუ მის სახელზე რეგისტრირებული ავტომობილი არ სხვისდება და მისი მონაცემები (მარკა, ძარას ტიპი, ფერი, საწვავის ტიპი, ძრავას ნომერი ან მოცულობა და ა.შ) არ არის შეცვლილი.

დისტანციურად შეცვლილი ახალი ნიმუშის სანომრე ნიშნის მიღება შესაძლებელია მთელი ქვეყნის მასშტაბით.

◎ კახა კალაძისგან შველას ვითხოვთ!

იქნებ მოგვხედოთ, სანამ უბედურება დატრიალდებოდეს!

დიდ დიღომში, არჩილ მეფის 11-ში ხალხი გაჭირვების გამო მცირეწლოვანი ბავშვებით ცხოვრობს თერთმეტსართულიან კორპუსში, რომელსაც არ აქვს კიბეებისა და აივნების მოაჯირები, ფანჯრები და აივნის კარები. ღიაა დაუსრულებელი საცხოვრებელი ფართები. ასევე დიდი საფრთხის შემცველია დაუმთავრებელი ლიფტის ნახევრად ღიად დატოვებული შახტები. მობინადრეები მთავრობისგან ითხოვენ შველასა და ყურადღებას. ყოველდღე ცხოვრობენ შიშით, რომ ღმერთმა ნუ ქნას, ამ მრავალსართულიან შენობაში რაიმე უბედურება არ დატრიალდეს.

კორპუსის მშენებლობა შპს „ზ და ლ“-მ 2016 წლის 9 მარტს დაიწყო და 2018 წლის 9 მარტს უნდა დასრულებულიყო. უკვე წლებია, მობინადრეები შეძენილი ფართების დასრულებასა და ჩაბარებას ამაოდ ელიან. თავად საცხოვრებელი შენობის მშენებლობაზე პასუხისმგებელი პირი, მშენებელი **ლევან ვადაჭკორია** წლების განმავლობაში აცხადებს, რომ დაასრულებს კორპუსს, მაგრამ არ აკონკრეტებს, როდის. მას არა აქვს მშენებლობის გაგრძელებისა და დასრულებისათვის საჭირო თანხა. კორპუსის მოსახლეობის ის ნაწილი, რომელსაც სხვაგან წასასვლელი არ ჰქონდა (არიან ისეთებიც, რომლებიც ქირასაც ვეღარ იხდიდნენ და ღამეებს მანქანაში ათევდნენ), დაუსრულებელ კორპუსში ბავშვებით შესახლდნენ.

უმოაჯირო კიბეები, ლიფტის ღია შახტა

მოსახლეობა წლებია, ვიბრძვით, როგორც შეგვიძლია. მობინადრეებმა მშენებლებთან არაერთი შეხვედრა მოვაწყვეთ, წავუყენეთ პირობები, ეს ამბავი მერიამდეც მივიტანეთ. 2020 წლის მაისში მერიაში მოსახლეობის ლევან ვადაჭკორიას, კახა კალაძის, ილია ელოშვილის შეხვედრაც მოეწყო.

ბატონმა ილიამ ჩვენი პრობლემა გულთან მიიტანა და მშენებელს კორპუსის დასრულებისთვის კონკრეტული ვადა, 3 თვე მისცა, რაზეც მშენებელმაც თანხმობა განაცხადა. მაგრამ ეს დათქმული ვადაც გავიდა, მშენებელს კვლავ არაფერი გაუკეთებია და კორპუსის დასრულების საკითხი ისევ გაურკვეველია.

კიბის უჯრედი

შენობის დასრულებას ართულებს სხვა არსებული პრობლემებიც. ბინები გაყიდვამდე ჩადებულია იპოთეკაში და კომპანიის წარმომადგენლებმა საცხოვრებელი ფართები გაყიდეს ისე, რომ იპოთეკები არ მოხსნეს, ხოლო ბინების ახალმა მეპატრონეებმა ამ ფულადი ვალდებულებების შესახებ მხოლოდ შეძენის შემდეგ შეიტყვეს.

ამასობაში, დამნაშავისა თუ მშველელის ძებნაში დრო გადის, კორპუსის დასრულების ბოლო ჯერ კიდევ არ ჩანს. დაღლილი და შეშინებული მოსახლეობა მთავრობისგან დროულ ჩარევას, რეაგირებასა და დახმარებას ითხოვს.

დიდ დიღომში დაუსრულებელი კორპუსის მცხოვრებლები

გენდერისა და ძალადობის ანალიზისას, არ უნდა მივიდეთ იმ დასკვნამდე, რომ ყველა კაცი მოძალადე ცხოველია და ყველა ქალი უცოდველი კრავი – ოჯახური ძალადობის ახალ ტენდენციებზე „პროგრესნიუსს“ „ადამიანის უფლებათა დაცვის აქტივისტთა კავშირის“ ლიდერი თამარ დადიანი ესაუბრა:

საბავშვო ყველას იჭერდა, ახლა კი ციხეები ქმრებით გაივსო!..

– ბოლო დროს ჩვენთან გენდერული თანასწორობა ძალიან არასწორად იქნა გაგებული. საქმე იქამდე მივიდა, რომ დღეს მამაკაცების უფლებები გახდა დასაცავი. მოგეხსენებათ, რომ ოჯახში ძალადობად ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ განხორციელებული ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური თუ ეკონომიკური ძალადობა, ასევე იძულება და უგულებელყოფა ითვლება.

ყოფილი თუ მოქმედი ქმრების, მეგობარი თუ უცნობი მამაკაცების მხრიდან ქალებზე გახშირებული თავდასხმების გამო, სამართალდამცავებმაც და საზოგადოებამაც მთელი ყურადღება ფიზიკურ ძალადობაზე გადაიტანეს და ყურადღების მიღმა დარჩა ოჯახური ძალადობის სხვა, არანაკლებ საშიში ფორმები. ისეთი, როგორიცაა ფსიქოლოგიური და ეკონომიკური ძალადობა, იძულება და უგულებელყოფა. მოგახსენებთ, რას ვგულისხმობ. ჩვენამდე უამრავი ინფორმაცია მოდის, რომ ზოგი ქალი მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით უახლოვდება მამაკაცს და შემდეგ ფსიქოლოგიური ზეწოლის თუ შანტაჟის დახმარებით ცოლად მოყვანას აიძულებს. შვილი გაჩნდება თუ არა, ასეთ კატეგორიის ქალები სხვადასხვა ხერხით ცდილობენ, მეუღლის ქონებას დაეუფლონ.

– დღეს მოქმედი კანონმდებლობით, შვილის გაჩენა ქალს ქონების მოთხოვნის უფლებას არ აძლევს თუ, რა თქმა უნდა, ეს თანაცხოვრების მანძილზე შეძენილი არაა.

– დიახ და ეს ქალთა კოალიციის მონაპოვარია, მაგრამ ზოგი ქალი კანონის გვერდის ავლით და მამაკაცისთვის ცრუ ბრალდებების წაყენებით ცდილობს მიზნის მიღწევას. სასამართლოები ოჯახური კონფლიქტების საქმეებს ძირითადად, ქალის სასარგებლოდ წყვეტენ. მოსამართლეები მთლიანად განწყობილნი არიან იმისკენ, რომ ქალის ყველა მოთხოვნა დააკმაყოფილონ. ქალებიც ამით სარგებლობენ და ქმრებს მოგონილი ბრალდებებით სახლებიდან აგდებენ.

– ზოგადი საუბარი რომ არ გამოგვივიდეს, იქნებ კონკრეტული ფაქტების შესახებ გვიამბოთ?

– თუნდაც ზუგდიდში ბევრი ასეთი ბევრი ფაქტი მოხდა. სულ ახლახან მოხდა შემთხვევა – ოჯახური კონფლიქტის დროს ქალმა პატრული გამოიძახა. პატრულმა საერთოდ არ იკითხა, რა ხდებოდა ოჯახში, ჩავლეს ამ კაცს ხელი და შეაგდეს ციხეში. გასაგები მიზეზების გამო, ამ ადამიანის ვინაობის დასახელებას მოვერიდები, მაგრამ გეტყვით, რომ ციხეები ასეთი კაცებით გაივსო. ლამის მოდად იქცა, რომ ნებისმიერ შეკამათებაზე პატრულს იძახებენ და ქმრებს იჭერენ. შევარდნაძის დროს ციხეები პოლიტპატიმრებით იყო სავსე, თუ ვინმე ზვიადის მომხრე იყო, ყველა ციხეში გამოკეტეს, საკაბშვილი განურჩევლად ყველას იჭერდა, ახლა კი ციხეები ცოლებისგან დაჭერილი ქმრებით გაივსო. სააკაშვილზე გამახსენდა: სამი შვილის დედა დაიჭირეს, რომელმაც დაახლოებით, ერთი კილო ლობიო მოიპარა. ბაზარში შედიოდა და მუჭებით იპარავდა, რომ ბავშვებისთვის ეჭმია. ამისთვის 6 წელი მიუსაჯეს და ბოლომდე მოახდევინეს. მახსოვს, ეს ამბავი გაზეთ „რაო-რაო“- ში დავბეჭდეთ და ეს გაზეთი სასტიკად დაარბიეს, თანამშრომლებს კი სცემეს!.. პირველი გაზეთი იყო, რომელმაც რეპრესიები გამოიარა. რედაქტორი ნათია მეგრელიშვილი სასტიკად სცემეს. ყველას გვახსოვს, რომ ამ დროს ციხეები გადავსებული იყო და 4-ადგილიან საკანში 12 ადამიანი იჯდა. დღეს საბედნიეროდ, ასეთი მდგომარეობა არაა, მაგრამ ბევრიც არ უკლია. მარტო 2019 წელს, ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის ჩადენისთვის ბრალი წარედგინა 4564 პირს. უმეტესი მათგანის მიმართ გამოყენებული იქნა დაკავების ღონისძიება.

ერთი უკიდურესობიდან მეორეში არ უნდა გადავვარდეთ. დამიჯერეთ, კაცები შიშით ხმას ვერ იღებენ ოჯახში, რომ ცოლმა პატრული არ გამოიძახოს და თავი ციხეში არ უკრას. მოკლედ, ცამდე მართალი რომ იყოს კაცი, კაცის უფლებებს არავინ იცავს. გენდერისა და ძალადობის ანალიზისას, არ უნდა მივიდეთ იმ დასკვნამდე, რომ ყველა კაცი მოძალადე ცხოველია და ყველა ქალი უცოდველი კრავი, რომელიც არასოდეს იტყუება. ასეთი დამოკიდებულების გამო, ქართველი ქალების ნაწილი ჩვეულებრივ ფსიქოლოგიურ მოძალადედ ჩამოყალიბდა, თუმცა თქვენ წარმოიდგინეთ, რომ არც ცოლებისგან ნაცემი კაცებია იშვიათობა. ძალადობის მსხვერპლ მამაკაცებს უმეტესად რცხვენიათ იმის აღიარება, რომ მასზე ქალმა იძალადა და დუმილს არჩევენ, თორემ სტატისტიკა განსხვავებული გვექნებოდა.

სტატისტიკის თანახმად, 2007-2011 წლის პერიოდში გამოვლინდა 1025 ძალადობის ფაქტი, მათში მონაწილე 1997 პირით. მოძალადეებს შორის სჭარბობენ მამაკაცები – 887, ხოლო ძალების რაოდენობა შეადგენს 89-ს. აღნიშნულ პერიოდში ოჯახური ძალადობის მსხვერპლი გახდა 904 ქალი და 117 მამაკაცი.

მსხვერპლ მამაკაცებში ყველაზე დიდი წილი 45 წლის ზღვარს ზემოთ მყოფებზე მოდის, ხოლო მსხვერპლ ქალებში კი – 25-44 წლის შუალედში.

ყველა თავის „ალილუიას“ მღერის!..

(მესამე გვერდიდან)

რეფერენდუმი, ხომ დემოკრიატიის ყველაზე მთავარი და დადებითი მახასიათებელია. **მით უფრო, თანამედროვე საგარეო და საშინაო-პოლიტიკური ურთიერთობები, ხშირად ეფუძნება არა მხოლოდ დაწერილ კანონებს, არამედ ძალადობას და მავანთა შეცოდებებზე აგებულ დანოსურ მხილებებს**. ანუ წყალი ბოლომდე ისეა ამღვრეული, რომ მისი გამოყენება უკვე საშიში ხდება. წყალი შემთხვევით არ მიხსენებია, იგი სიცოცხლისთვის ყველაზე აუცილებელი ნივთიერებაა, ისევე როგორც ქვეყნისთვის კანონის უზენაესობა. თუმცა, ბუნებრივი კანონზომიერი პროცესია „როცა წყალი ბოლომდე აიმღვრევა, იგი მალე უნდა დაწდეს და გაიწმინდოს“... თუ ეს არ მოხდა მაშინ არსებობის გასაგრძელებლად ახალი წყარო უნდა ვეძებოთ. ისეთი წყარო, რომელსაც სხვა შენაკადი არ უერთდება და ხელს არ უშლის მისი გაწმენდის კანონზომიერ პროცესს.

დიახ, ჩვენ წინ დღეს, დამოკლეს მახვილივით სიცრუის მანქანებია აღმართული, რომლებსაც სიმართლით, ნათელი აზრით უნდა შევებრძოლოთ და ჩვენ მიერ არჩეულ ხელისუფლებას ერისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი ხსენებული მოთხოვნების განხორციელება მოვთხოვოთ!

ამიტომ ჩვენი პოლიტიკური პრიორიტეტის: ლიბერალურ, დემოკრატიული კანონებისა და პლურალიზმს საყოველთაო მიმღეობის მიზნით საჭიროა შევთანხმდეთ ახალ პრიორიტეტებზე. **რადგან ძველმა პრიორიტეტებმა ქვეყანა კრიზისში შეიყვანა. ხოლო პრიორიტეტებზე შეთანხმების გარეშე, პლურალიზმი და ერთბაშად ამდენი მოსაზრების დამკვიდრება ჭეშმარიტ საზრისს უკეტავს გზებს! მაშასადამე საჭიროა:**

4. რეფერენდუმის გზით დამტკიცდეს ქვეყნის პროგრესული განვითარების რეალური პრიორიტეტები,

5. აიკრძალოს დოკუმენტურად დაუდასტურებელი ბრალდებების გაჟღერება;

5. აიკრძალოს პიროვნული ღირსების შემლახავი გარემოებების შეძენა, ჩვენება და ტირაჟირება!

7. შემუშავდეს ანალიტიკური გადაცემებისა თუ საგაზეთო რუბრიკების ისეთი ფორმატები, სადაც: ა) აქტუალური თემები დადგენილი პრიორიტეტების შესაბამისად იქნება შერჩეული. ბ) აუცილებელ პირობად იქნეს მიღებული, რომ განსაკუთრებით საჭირბოროტო თემები მხოლოდ ერთი მხარითა და პოზიციით არ იქნეს განხილული, რაც სრულფასოვან ანალიზს შეუწყობს ხელს და ტენდენციური დასკვნების გამოტანას მაძსიმალურად შეამცირებს.

მით უფრო, ამ პანდემიის საგანგებო პერიოდში, როცა უდიდესი პრობლემისა თუ მტრის პირისპირ ვდგავართ, აუცილებელია, ჟურნალისტებმა, პოლიტიკოსებმა, მით უფრო, ღვთის მსახურად წოდებულმა ადამიანებმა ყველაფერი გააკეთონ ერის გამთლიანებისთვის. ამ დროს, „რეაქციის“ მსგავს გადაცემებს და უპასუხისმგებლო ოპოზიციის მოთხოვნებს, რომლებსაც ბოლო არ უჩანს, რა შეიძლება ვუწოდოთ?

– სწორედ ამიტომაა, რომ ძალიან მტრული, ნდობას მოკლებული დამოკიდებულებაა გამეფებული თითქმის ყველა სოციალურ ფენასა და ხელისუფალთა შორის. **უფრო მეტიც, თითქოს ხელისუფლება მძევლად არის აყვანილი არასამთავრობოების, გარე თუ შინაური მტრების მიერ, რაც სიკეთეს არ მოგვიტანს!..**

ნუთუ აღარ უნდა შეიცვალოს ის დრო, როცა ყველაფერზე ხელშესახები ეს, ეგრეთ წოდებული, პირდაღებული „თავისუფლებაა“, რომელსაც თითქოს სურს ყველაფერი ჩაყლაპოს. ჩაყლაპოს ეკლესია, ჩაყლაპოს თითქმის ყველა იერარქიის მქონე ეკლესიის მსახური, ჩაყლაპოს მამაკაცი (აგრესორია და რაში გვჭირდება), ჩაყლაპოს ქალი (მორალურ და ზნეობრივ თვისებებს მოკლებული გახდა და რაღა დაიცავს!), ერთმანეთი ჩააყლაპვინოს მოზარდებს! მძიმე სოციალურ პირობებში თანდათანობით ყლაპავს ნათესაობის ინსტიტუტს, თაობათა შორის კავშირს, ვერ იცავს ვერც დაწერილ და ვერც დაუწერელ კანონებს და დიდი ხანია, ჩაყლაპვას უპირებს ოჯახს, აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს. ოჯახი და დაწერილი თუ დაუწერელი, მარადიული კანონები ხომ სახელმწიფოს ყველაზე მთავარი საყრდენი ცოცხალი უჯრედებია.

ჰო, ყველაფერი „ახალი ალილუიით“ და „მოდი, ვნახოთ ვენახი, რამ შეჭამა ვენახის“ ფილოსოფიური ლოგიკითაა გათვლილი. ამიტომაა, რომ ხშირად აჩვენებენ და წერენ საშინელ ფაქტებსა და მოვლენებზე, ზოგჯერ ტყუილსა და ზოგჯერ მართლაც საშინელ რეალობაზე...

ამასთან დაკავშირებით შეგახსენებთ: „ინფორმაციული დაბინძურება ინფექციური დაინფიცირების მსგავსად ვრცელდება“, და „შეძახილით ხეც გახმაოა“ – ამიტომ დროა, ტელევიზიები და, საერთოდ, მასმედია შეჩერდნენ და თავი შეიკავონ მსგავსი, მხოლოდ ნეგატიური პერსპექტივის მქონე თემების ტირაჟირებისაგან. გაიხსენეთ, გამოვლენილი აგრესიული ქმედების ისტერიულ გაშუქებას ისევ რამდენად საგულისხმო რაოდენობის სხვა მსგავსი დანაშაულები, აგრესიული ხოცვა-ჟლეტა მოჰყოლია თან.

იქნებ დადგა დრო, როცა 1978 წლის 14 აპრილის მსგავსად ისევ ერთად დავდგეთ ერი, ბერი და ხელისუფლება?! დამერწმუნეთ, მხოლოდ ამ შემთხვევაში შევინარჩუნებთ თავსაც და ეროვნულ სახელმწიფოსაც. არავინ იფიქროს, იმ 70-იანი თუ 80-იანი წლების დროინდელ მტერთან შედარებით ნაკლებ მტერთან და საშიშროებასთან გვაქვს საქმე.

დიახ, უნდა გავერთიანდეთ, ჩვენი თანადგომით, იქნებ ხელისუფლება, ოპოზიციის მსგავსად, ქვეყნის გარეთ აღარ ეძებდეს მთავარ საყდენ ძალას. გაიგეთ, ეს საყრდენი ძალიან ძვირი გვიჯდება!

ხოლო ხელისუფლებამაც უნდა გაიხსენოს, დიდი ილია, „ხალხი, მხოლოდ უბრალო ხალხი არის ქვეყნისა და ხელისუფალთა ყველაზე დიდი დასაყრდენიო“ და დაიმახუროს ხალხის თანადგომა.

ვიცი, ოპოზიციურად განწყობილი ადამიანი ირონიულად გაიცინებს, „ეს მშვიდობის დესპანი ვინ არის, რა დაკარგვია, რა უნდაო?“ დიახ, მშვიდობის დესპანი ვარ, ვინმემ ხომ უნდა თქვას სიმართლე, რათა, საბოლოოდ არ დავკარგოთ აფხაზეთი, შიდა ქართლი და ზედ გარეჯიც არ მივაყოლოთ.

თან იმასაც გეტყვით, რომ მეც ამ ქვეყნის მოქალაქე ვარ. სწორედ ბევრი დავკარგე ამ ორომტრიალში და უშემოსავლოდ დავრჩი კიდეც. თუმცა თქვენზე მეტად მიყვარს ეს ქვეყანა, რადგან პირადი მდგომარეობის გამო ორომტრიალს არ ვტეხ და ქვეყნის დაქცევას არ ვლამობ!

დიახ, გეყოფათ, ნუ იღებთ მონაწილეობას ქვეყნის გარეთ დაგეგმილ თამაშში! ნუთუ არასდროს მოგვსვლიათ თავში აზრად, რომ ქვეყნად არეულობისა და არასტაბილური მდგომარეობის შესაქმნელად სჭირდებით მხოლოდ მავანს! განა თქვენ იმაზე ნაკლები ხმები დაგიმტკიცეს, რამდენსაც თავად ვარაუდობდით?! დაწყნარდით... წინ დიდი გამოცდა ელის მთელ მსოფლიოს და ჩვენს ქვეყანასაც. ამიტომ, თუ ქვეყანაზე ოდნავ მაინც გული შეგტკივათ და მხოლოდ საკუთარი ინტერესების დასაცავად არ ხმაურობთ, პარლამენტარის და, საერთოდ, ადამიანის სახე შეინარჩუნეთ...

აქ პასკალის ერთი გამონათქვამი მაგონდება: „კეთილგონივრულია, დაემორჩილო სამართლიანობას, მაგრამ შეუძლებელია, არ დაემორჩილო ძალას. ამიტომ, საჭიროა ძალისა და სამართლიანობის შერწყმა, რათა მისადმი მორჩილებით უზენაესი სიკეთე-მშვიდობა დამკვიდრდეს ჩვენს ცხოვრებაში“, **ოპოზიციური ძალების გასაგონად კი ვიტყვი: თუ თქვენი მოთხოვნების გასამართლებლად ჩვენში არსებულ ამ ვაი-დემოკრატიას მიიჩნევთ, ჯერ თქვენი მოღვაწეობა გაიხსენეთ და მერე სტენლი კრამერის, სწორედ ამერიკული ფილმი „დომინოს პრინციპი“, სადაც ხაზგასმით ამბობენ „დემოკრატია ის ობობის ქსელია, რომელიც ძლიერებმა მოიგონეს სუსტების დასაჭერად, თავად კი ადვილად ხევენ მას“. ამიტომ თუ მართლა ქვეყნის დაქცევა არ გინდათ, შეჩერდით და სანამ პარლამენტში შესვლის უფლებას გიტოვებენ, შედით და თქვენი ფუნქცია ადამიანურად შეასრულეთ.. ისტორიას რომ ძალიან ცუდად არ შემორჩეთ.**

ისიც ნათელია, უსაზღვროა და ღვთიურია უწმინდესის მიმტევებლობის, სიკეთისა და მიმღეობის უნარი. იგი ჩვენი დაცვის გამო, უთანხმოების, დესტრუქციული მოვლენების თავიდან არიდების მიზნით მზად არის, შენდობის კალთა გადააფაროს თავის „უძღებ შვილებს“. სწორედ ამიტომ ვალდებულები ვართ, ჩვენი ფუნქცია ვიპოვოთ და ჩვენი მისია აღვასრულოთ ამ ყველაფერში. არც შემოჩვეული „მგლის“ ხასიათი დავივიწყოთ და „ხალხის“ დაცვისათვის საჭირო „კავ კასიური ნაგაზის“ არსებობასაც შევუწყოთ ხელი... უკვე დროა, ქვეყანას ერთი, ჭეშმარიტი „ალილუია“ ჰქონდეს...

ია საკანდელიძე

რა ცეცხლი მწვავდა და რა ვიყავი...

ჩემი ტერენტი

როცა ამ წერილს სათაური შევურჩიე და დავარქვი „ჩემი ტერენტი“ ვიფიქრე, ვინმე არ გამინაწყენდეს-მეთქი, რადგან ტერენტი გრანელი ხომ ყველასია, ვისაც უყვარს მისი პოეზია, მისი ტანჯული სულის პოეზია, სევდიანი და ამაღლებული...

სკოლის პერიოდში ოცნებად მქონდა გადაქცეული ტერენტი გრანელის პოეზიასთან მიახლოება, მისი სამყაროს შეცნობა და აღქმა, რაც ძალზედ ძნელი იყო, რამეთუ მწირი მასალა მოიპოვებოდა... სტუდენტობის წლებში სულ სხვა კუთხით დავინახე გრანელის შემოქმედება, აღვიქვი ჩემებურად და დღემდე მის ტყვეობაში ვიმყოფები... სამოცდაათიან წლებში სულხან-საბა ორბელიანის ქუჩაზე არსებულ მედიცინის მუშაკთა სახლში პოეტ ლადო სულაბერიძეს ახალგაზრდა შემოქმედთა წრე ჰქონდა დაარსებული. მახსოვს, შეხვედრა მოვუწყვეთ მხცოვან მწერალს როდიონ ქორქიას. საღამოს დასრულების შემდეგ ბათუ დანელიამ და მე სახლში მივაცილეთ ხანდაზმული მწერალი. ბატონმა როდიონმა გაიხსენა, თუ როგორ იცეკვა კაფეში ბუდიონთან ერთად „ლეკური“ და მიაყოლა – ტერენტის ახლოს ვიცნობდიო, ხშირად მოდიოდა ჩემთან თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომში, რაც შემეძლო ხელს ვუმართავდი და მალულად ღამესაც ვათენებიებდიო ჩემს თბილ კაბინეტში უბინაო პოეტს. გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან მუშაობა დავიწყე ქალაქის კულტურის სამმართველოში და დიდუბის პანთეონი ჩემს საკურატორო სფეროში შემოდიოდა. 1987 წლის დეკემბრის დასაწყისში მწერალთა კავშირში შევხვდი ხუტა ბერულავას, რომელმაც მითხრა: მალე ტერენტი გრანელის საიუბილეო თარიღი (90 წელი) მოდის და აბა, შენ იცი, უნდა დაგვხმარო, საუბარია პოეტის პეტრე-პავლეს სასაფლაოდან დიდუბის პანთეონში გადასვენებაზეო. მაშინ პანთეონი ძველ საზღვრებში იყო მოქცეული და თავისუფალი ადგილი ძნელად თუ მოიძებნებოდა. მართლაც, ერთი კვირის თავზე საიუბილეო კომისიის წევრები შევიკრიბეთ მწერალთა კავშირში, კომისიის თავმჯდომარის ხუტა ბერულავას კაბინეტში. მოვხვდი რევაზ ინანიშვილის გვერდით. იგი იჯდა ჩაფიქრებული და ტერენტი გრანელის სულის შესაფერის ნახატს ქმნიდა. შემოდგომა, ბოძი, ხეზე კანტიკუნტად შემორჩენილი ფოთლები, ბეღურები და საფლავის ქვა... ნახატი დაამთავრა. შევბედე კარგი ნამუშევარია-მეთქი. გჩუქნიო მითხრა. ეს ნახატი დღეს ჩემს ოთახს ამშვენებს.

დავუბრუნდეთ კომისიის მუშაობას. საიუბილეო კომისიამ მთავარი და გამორჩეული ყურადღება დაუთმო პოეტის პეტრე-პავლეს სასაფლაოდან დიდუბის ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში გადასვენების საკითხს. დამევალა კომისიის წევრებთან ერთად გამომენახა ადგილი პანთეონში და მომეგვარებინა გადასვენებასთან დაკავშირებული სხვა ორგანიზაციული საკითხები. დაინიშნა გადასვენების თარიღიც. სამუშაოს ოპერატიულად შევუდექით. კომისიის წევრებს გავანდე, რომ დიდუბის პანთეონში ადგილი ტერენტი გრანელისათვის დიდი ხანია მოძებნილი მქონდა კორნელი სანაძისა და თამარ ვახვახიშვილის საფლავებს შორის. წინადადება ერთხმად მიიღეს. თითქოსდა ყველაფერი გარკვეული იყო. შესაბამის სამსახურს დავაწყებინეთ გათხრები, როგორც დიდუბეში, ასევე პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. თითქმის ნახევარზე მეტი სამუშაოებისა შესრულებული იყო, როცა ხუტა ბერულავა მიბარებს მწერალთა კავშირში და მეუბნება: ბადრი, სასწრაფოდ სამუშაოები შეაჩერეო. გაოცებულმა ვკითხე, რა მოხდა-მეთქი. ცენტრალური კომიტეტის განკარგულება არისო. ჩავეძიე, მაინც რატომ-მეთქი... ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯუმბერ პატიაშვილი უცხოეთში იმყოფება და მის ჩამოსვლამდე, უფრო სწორად მისი განკარგულების გარეშე ვინ მოგცათ უფლება სამუშაოების დაწყებისო.

რა გვექნა, შევაჩერეთ სამუშაოები. გაჭრილ საფლავებს წყალგაუმტარი ნაჭრები გადავაფარეთ, შევწუხდით ჩვენ და მთელი არმია იმ ახალგაზრდებისა, ვინც ჩვენს გვერდით ტრიალებდა... საქმემ სერიოზული სახე მიიღო... საქალაქო საბჭოს აღმასკომის ხელმძღვანელობამ საყვედური მითხრა. ჩემდა გასაკვირად, განაწყენდნენ მწერალთა კავშირშიც... ყველაზე დიდი თანადგომა მწერალ ელიზბარ უბილავასაგან მახსოვს. ვერ ვაკავებდით ახალგაზრდებს, სტუდენტობას... ისინი, უსამართლოდ, ბრალს სდებდნენ კომისიის თავმჯდომარეს ხუტა ბერულავას, ეგონათ სამუშაოები მისი განკარგულებით იყო შეჩერებული და კაბინეტის აჭედვით ემუქრებოდნენ. იმ დღეებში გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ დაიბეჭდა წერილი სათაურით - „რაც დრომ შემოგვინახა“. წერილს ხელს აწერდნენ ავლაბრელები, ექიმი გელა მუხაშავრია და მოქანდაკე თენგიზ კიკალიშვილი. წერილის ავტორები მხარს არ უჭერდნენ დიდუბის პანთეონში ტერენტი გრანელის გადასვენებას. მოტივი ერთი იყო – ავლაბრის ამ ძირძველ მიწას თუ რაოდენ უხდებოდა პოეტის საფლავი, მისი ამაღლებული სული და სახელი... მიუხედავად იმისა, ორთავეს დიდი პოეტის შემოქმედებისადმი უსაზღვრო სიყვარული ამოძრავებდა, ამ ფაქტმა ცოტათი მაინც გაამწვავა ვითარება.

1987 წლის 19 დეკემბერს, თუ არ ვცდები შაბათი დღე იყო, გვიან ღამით დამირეკა ხუტა ბერულავამ და მითხრა: ბადრი, გავიმარჯვეთო!.. ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯუმბერ პატიაშვილი ჩამოვიდა და დიდი საყვედური უთხრა იმ პიროვნებას, ვინც გადასვენების სამუშაოები შეგვაჩერებინაო. საჭიროა, ხვალ დილით სამუშაოების განახლება და გრანელის ნეშთის დიდუბის პანთეონში გადასვენება. დავთქვით, მწერალთა კავშირში დილის შვიდ საათზე შევკრებილიყავით. განახლდა საფლავების გაჭრის სამუშაოები. პეტრე-პავლეს სასაფლაოზე შევიკრიბეთ; ხუტა ბერულავა, სოლომონ დემურხანაშვილი, ელიზბარ უბილავა, რაულ ჯახია და დასაფლავების ტრესტის თანამშრომლები. მინდა, ერთ ფაქტზე გავამახვილო ყურადღება – დადიოდა მოარული ხმები, თითქოსდა „არამიანცის“ საავადმყოფოში დიდ პოეტს თავის ქალა ახადეს... მოარული ხმები მართალი გამოდგა. პეტრე-პავლეს ეკლესიის მღვდელმა, მამა მიქაელმა პანაშვიდი გადაიხადა. ბატონმა ხუტამ უანგაროდ ისურვა მღვდლისთვის გასამრჯელოს გადახდა, მაგრამ მამაო მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა ასევე მოიქცა დიდუბის ეკლესიის მღვდელი მამა ანტონი. დიდუბის პანთეონში მოვიდნენ შოთა ნიშნიანიძე, თამაზ ჭილაძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, ხუტა ბერულავა, ოთარ ჭილაძე, ამირან გაბესკირია, ელიზბარ უბილავა. ამიერიდან ტერენტი გრანელის ცხედარი მივაბარეთ დიდუბის წმინდა მიწას. ამით ჩვენ, ყველანი ამაყები და ბედნიერები ვიყავით, რამეთუ აღდგა სამართლიანობა – თანამოკალმეთა დიდ საძმოს შეუერთდა ტანჯული სულის პოეტი

საიუბილეო კომისიის თავმჯდომარემ გვითხრა, ყველაფერმა ისე ჩაიარა, როგორც ტერენტი გრანელს ეკადრებაო, ახლა დროა თითო ჭიქა წავუქციოთო... ესეც გაკეთდა ღირსეულად. არ შემიძლია, არ აღვნიშნო ტერენტი გრანელის სახელის უკვდავების საქმეში ლერი ალიმონაკის, ელიზბარ უბილავას და გივი ცქიტიშვილის ფასდაუდებელი ღვაწლი, მოქანდაკე თენგიზ კიკალიშვილის დამსახურება საფლავის კეთილმოწყობაში, ხოლო რევაზ მიშველაძის თაოსნობით და ფინანსური დახმარებით მაზნიაშვილის ქუჩაზე, სადაც ცხოვრობდა ტერენტი გრანელი, დაიდგა მემორიალური დაფა. ჩვენი წინადადებით, გასული საუკუნის 90-იან წლებში ჩუღურეთის რაიონში არსებულ ცხრა იანვრის ქუჩას მიეკუთვნა ტერენტი გრანელის სახელი. თითქმის ყოველდღე დავდივარ დიდუბის პანთეონში და თითქმის ყოველდღე ანთია სანთელი ტერენტი გრანელის საფლავზე. მოდიან ახალგაზრდები და პოეტს მისივე ლექსებს უკითხავენ...

...და მახსენდება ჩემი ტერენტის სევდიანი სიტყვები:

„... და გაიგებენ დიდი ხნის შემდეგ,
რა ცეცხლი მწვავდა და რა ვიყავი...“

აქვე მინდა შემოგთავაზოთ ჩემი ერთ-ერთი ლექსი მიძღვნილი ტერენტი გრანელისადმი.

* * *

მე ახლა მაგონდება ჩემი ცხოვრების ქარიშხლიანი დღეები და სინანულის ჟრუანტელი მივლის.

ტერენტი გრანელი

ყველაზე მეტად მრცხვენია ჩემი,
საკუთარ სულსაც სჭირდება მოვლა...
ეს მეშვიდეა, მეშვიდე წელი
თითქოს არა ვარ და თითქოს რომ ვარ...
ქუჩაში ქარი დაეძებს ბინას
და უმიზეზოდ აწვალებს ფოთლებს,
მე გული არა, ნეკნები მტკივა,
გარდაცვალების ჩემის ვარ მოწმე!..
ყველაზე მეტად მრცხვენია ჩემი...
და პატიებას ვერ ითხოვს გული,
რადგან დაკარგა ამ ქუჩამ ძველი
ალუბლის ფერი და ვარდის სუნი!..

უცნაური დღე იყო 2019 წლის 25 სექტემბერი, ოთხშაბათი. ეს დღე ისტორიაში შევა იმითაც, რომ სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ დიდუბის პანთეონში მოინახულა პოეტის სამუდამო განსასვენებელი. დღე ასე დაიწყო... მიკავშირდება უკეთილშობილესი ქალბატონი ქეთევან შიოლაშვილი და მეუბნება – დღეს პატრიარქს მოსვლა უნდა თქვენთან, დიდუბის პანთეონშიო. შემდეგ იგივე შინაარსის ზარი დაცვის სამსახურიდან. რაღაც უცნაური განწყობა დამეუფლა, არ ვიცი, ეს დიდი სიხარულით იყო გამოწვეული თუ იმ მოკრძალებითა და სიყვარულით, რაც მე მაკავშირებს მის უწმინდესობასთან.

ერთ საათში მობრძანდა უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე. ატყდა ზარების რეკვა დიდუბის ღვთისმშობლის სახელობის ეკელესიის სამრეკლოდან. მოგეხსენებათ, აკაკი წერეთლის გამზირი ხალხმრავლობით გამოირჩევა და პატრიარქის დანახვაზე ზღვა ხალხი მოგროვდა. თითოეული ადამიანის თვალებიდან მოდიოდა სითბო, მოკრძალება და სიყვარული, იყო ცრემლიც... გზადაგზა მის უწმინდესობას ვესაუბრებოდი დიდუბის პანთეონზე, იმაზეც, რომ დიდუბის პანთეონში დაკრძალულია 930 ადამიანი... მისმა უწმინდესობამ გამოთქვა სურვილი, რომ მოენახულებინა ტერენტი გრანელის საფლავი. პატრიარქმა პატივი მიაგო დიდი ტერენტი გრანელის სამუდამო განსასვენებელს. შემდეგ საგანგებოდ მოტანილ სავარძელში დაბრძანდა და დუმილით შესცქეროდა ზეციასკენ აპყრობილ ტერენტი გრანელის პორტრეტს... დუმილი დაირღვა. უწმინდესმა მოიკითხა ღვინო. გამოჩნდა ნაკურთხი წითელი ღვინო და პური... პატრიარქის ნებართვით სიტყვის თქმა მე დამევალა. პატივი მივაგე ტერენტი გრანელის უკვდავ სულს და მოვიგონე პანთეონში დაკრძალული ადამიანები... ვადღეგრძელე პატრიარქი, ჯანმრთელობა ვუსურვე ჩვენი ეკლესიის საჭეთმპყრობელს და მადლობა მოვახსენე მობრძანებისათვის.

P.S. უწმინდესმა მაჩუქა 100 ლარი, რომელიც ჩავსვი ჩარჩოში და გავაკეთე წარწერა: „უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია მეორე გვესტუმრა დიდუბის პანთეონში. საგანგებოდ მოინახულა ტერენტი გრანელის საფლავი. ვისაუბრეთ... მაჩუქა 100 ლარი. გთხოვთ, ეს ფული არ დახარჯოთ, დარჩეს როგორც რელიკვია!..“.

ბადრი ძუთათელაძე

◎ დღესასწაული

ხატი ივერიის ღვთისმშობლისა

25 თებერვალს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატის ხსენებას.

დღეს გავიხსენებთ იმ ხატს, რომელიც ეკუთვნოდა სახელგანთქმულ ქართველ თამარ მეფეს, რომელიც განსაკუთრებულად იმით გამოირჩეოდა, რომ კავკასიელთა, კერძოდ, მთიელთა შორის ქრისტიანობის გავრცელებას ცდილობდა.

საგულისხმოა, რომ თამარ მეფის დროიდან ვიდრე 1768 წლამდე ეს ხატი იმყოფებოდა მთებში, სადაც მრავალი სასწაულით განდიდდა... და, რა გასაკვირია, რომ ამ ხატს, ზეციურ დედოფალს ავადმყოფობის დროს მიმართავს ყველა მართლმადიდებელი, ქართველი, სომეხი, კათოლიკე, ჩერქეზი თუ ოსი.

სრულიად საქართველოს შეეწიოს ივერიის ღვთისმშობლის ხატის მადლი!

გიული ლიპარტია

კონდაკი:

ვითარცა მეოხსა და მფარველსა და ზედამდგომელსა, გიგალობს შენ მარადის, პორტაიტისაო, სახელდიდი მწყობრი შენი სამღვდელოთა და სიღრმეთაგან სულისათა ხმობს შენდამი დაუცხრომელად: დამიცევ მე დედოფალო.

ᲐᲛ ᲮᲛᲘᲗ ᲓᲦᲔᲡ ᲗᲕᲘᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲛᲦᲔᲠᲘᲡ...

ᲑᲝᲚᲝ ათწლეულებში ქართველ მომღერალ-შემსრულებელთა აზვირთებული ტალღა მოედო სრულიად მსოფლიოს და ჩვენი ერის სახელი და დიდება შორს, ძალიან შორს გაიტანა...

საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველ მომღერლებს შორის ერთ–ერთი ყველაზე გამორჩეული, საერთაშორისო დონეზე აღიარებული ბარიტონი გიორგი გაგნიძე გახლავთ, რომელმაც აგერ უკვე 18 წელია თავისი გასაოცარი ხელოვნებით არა ერთი საოპერო სცენა დაიპყრო. სადაც გიორგი გამოდის, წარმატება სრულადაა გარანტირებული. ამაში მას ხელს უწყობს როგორც გარეგნობა, ასევე არტისტიზმი, შინაგანი ტემპერამენტი და მგზნებარება, ვირტუოზული საშემსრულებლო ტექნიკა, მაღალი მუსიკალური გემოვნება, სიმღერის დახვეწილი მანერა, ხმის მოცულობა და სილამაზე, ყველა რეგისტრში თანაბარი კანტილენური ჟღერადობა, იდეალური ვოკალური სკოლა, ემოციით და ექსპრესიით დატვირთული ხმა, ადამიანების გულებისაკენ უხვად რომ მოედინება, შესანიშნავი მსახიობური გარდასახვის უნარი, რაც მას აძლევს საშუალებას, შექმნას ჰეროიკულ-დრამატული, გამომსახველობითი და დასამახსოვრებელი მუსიკალურ-სცენური სახეები. მას რომ არ უყუროთ და ისე უსმინოთ, ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ვიღაც ცნობილი იტალიელი მღერის. მისი სიმღერა გამოჩენილ იტალიელ ბარიტონს ეტორე ბასტიანინის მაგონებს. რასაკვირველია, ყველაფერი ეს მსმენელში უდიდეს და სასიამოვნო განცდებს აღძრავს.

ფართოა მომღერლის არეალი. გაგნიძე წლების მანძილზე ტრიუმფით გამოდიოდა და მისი დიდებული ხმა გაისმოდა მილანის „ლა სკალას“, ნიუიორკის „მეტროპოლიტენ-ოპერის“, ლონდონის „კოვენტ გარდენის“, მადრიდის სამეფო, არენა დი ვერონას, პარიზის, ათენის, ტოკიოს, სან-ფრანცისკოს და ლოს-ანჯელესის ნაციონალურ, ბერლინის დოიჩე და შტაატს, ვენის შტაატს, მიუნხენის შტაც, ბარსელონას „ლისეუს“, ნეაპოლის „სან-კარლოს“, პეკინის, სეულის საოპერო თეატრსა თუ სხვადასხვა საკონცერტო დარბაზებში.

ჩემ წინ მსოფლიოში აღიარებულ ხელოვანთა, მუსიკათმცოდნეთა და კრიტიკოსთა გამოხმაურების, შეფასების და სტატიების ზღვა მასალა დევს. აღარც კი ვიცი საიდან დავიწყო. ძვირფას მკითხველს მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილს ვთავაზობ, რომელშიც კარგადაა ასახული ჩვენი სახელოვანი მომღერლის განსაკუთრებული ადგილი და როლი საოპერო ხელოვნების უდიდეს სიმაღლეზე აყვანისა და წარმოჩენის საქმეში:

„Exceilent George! თქვენ, პირველი ხარისხის ბარიტონის ხმა გაქვთ, ლამაზი ხმის შეფერილობა, ძალიან ძლიერი და უნიკალური ტექნიკა. სად სწავლობდით? მე ყველანაირად შევეცდები ხელი შეგიწყოთ კარიერაში!“ — დირიჟორი ჯეიმს ლივაინი.

„დღეს ძალიან ძნელია, ასეთი მომღერალი იპოვო და, სამწუხაროდ, ისეც ხდება, რომ ზოგჯერ შესაძლოა, სხვადასხვა მიზეზის გამო ვერც კი შეხვდე და გაიცნო... — დირიჟორი ლორინ მააზელი.

„Grande Baritono! მე ასეთი სიმონ ბოკანეგრა იშვიათად მომისმენია“, — დირიჟორი დონატო რენზეტი.

„გიორგი ძლიერი, საოცარი მომღერალია, ისეთივე ნამდვილი ბარიტონი, როგორებიც გასულ საუკუნეში მღეროდნენ“, — დირიჟორი, მაესტრო დანიელ ორენი.

„რიგოლეტო იგებს ჯეკპოტს... გაგნიძის ლითონივით ძლიერი ხმა, როგორც მსოფლიოს დიდ სცენებზე, აქაც ჭექა-ქუხილივით ისმის...“ „მეტროპოლიტენ-ოპერის“ სცენაზე გიორგის მიერ შესრულებული რიგოლეტოს პარტიის შესახებ გაზეთი „ნიო-იორკ ტაიმსი“.

„კატაკლიზმური ძალის მქონე ხმა“... — გაზეთი **„ოპერავირე“.**

„უდიდესი მომღერალი გიორგი გაგნიძე ჩემი ქართველი მეგობარია. ღმერთმა მას არაჩვეულებრივი, არაჩვეულებრივი ხმა აჩუქა“, — პლასიდო დომინგო.

„ის, რომ ერთ დღეში ორ სრულიად განსხვავებულ ადამიანად გარდაისახო, ეს როგორც დიდ პროფესიონალიზმს მოითხოვს, ასევე დიდ ადამიანურ ენერგიას. ალფიოს და ტონიოს როლებით გიორგი გაგნიძე გამოგვეცხადა როგორც ძლევამოსილი ბარიტონი. თუკი მისი ალფიო თავდაჯერებულია, ტონიო სრულიად გატეხილი და შეძრული მოჩანს“ — **„ნიო-იორკ თაიმსი“.**

„იგი არ დაბადებულა რიგოლეტოდ, ის თავად რიგოლეტოა...“ — ხოსე კარერასი.

გიორგი 1970 წლის 9 აგვისტოს თბილისში სულიკო გაგნიძის და მერი გუმბერიძის ოჯახში დაიბადა. მუსიკისადმი მიდრეკილება და სიყვარული ბავშვობიდანვე აღმოაჩნდა. სულ მალე იგი კონსერვატორიის ვოკალურ ფაკულტეტზე აბარებს და სიმღერის სწავლას ჯერ პროფესორ დიზი ხელაშვილთან იწყებს, შემდეგ კი საქართველოს სახალხო არტისტთან თამაზ ლაფერაშვილთან აგრძელებს. სწორედ ბატონი თამაზის რჩევით 1994 წელს ჯერ კიდევ მესამე კურსის სტუდენტის დებიუტი შედგა ზაქარია ფალიაშვილის ოპერისა და ბალეტის თეატრში, სადაც თითქმის ცხრა წლის მანძილზე გიორგი წამყვან პარტიებს ასრულებდა ოპერებში: ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერში“, „დაისში“; დოლიძის „ქეთო და კოტეში“; კვერნაძის „კოლხთა ასულში“; ვერდის „ტრავიატაში“, „მაკბეტსა“ და „ბალმასკარადში“; ბიზეს „კარმენში“; მასკანის „სოფლის ღირსებაში“; როსინის „სევილიელ დალაქში“; დონიცეტის „სიყვარულის ნექტარსა“ და ჩაიკოვსკის „პიკის ქალში“, რითაც მომღერალი თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის, მაესტრო ჯანსულ კახიძის ფავორიტად იქცა. კახიძე გიორგის მონაცემების მიმართ განსაკუთრებულ სიმპათიას გამოხატავდა და სულ მოუწოდებდა: **„...შენ უნდა წახვიდე უცხოეთში, რომ ჩვენ გვასახელო, საამისოდ ყველა მონაცემი გაქვს. ვისმენ იქაურ ბარიტონებს და ვიცი. ამიტომ, შენ უნდა გახვიდე!...“**

და აი, 2003 წელს გაგნიძე სამოღვაწეოდ საზღვარგარეთ გაემგზავრა, რამაც მისი ცხოვრება მთლიანად შეცვალა და დიდი წარმატებები მოუტანა. ყველაფერ ამას კი წინა კონკურსებში გამარჯვებები უძღოდა: III პრემია (ვოკალისტთა I რესპუბლიკური კონკურსი. თბილისი, 1995წ.), 1998 წელს ფესტივალ „ბრავოში“ მონაწილეობა, სპეციალური პრიზი საუკეთესო ბარიტონისათვის **(გენჯერის** ვოკალისტთა კონკურსი, სტამბოლი, 2000წ.), II პრემია (ობრაზცოვას ახალგაზრდა ვოკალისტთა საერთაშორისო კონკურსი. სანკტ-პეტერბურგი, 2001წ.). ბოლო კონკურსზე დამსწრე ევროპელ პროდიუსერებზე გაგნიძემ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ამას გერმანიის ერთ–ერთ კონკურსში გამარჯვებაც დაემატა, რამაც განსაზღვრა ევროპაში მისი საბოლოო გადასვლა. გიორგი ვაიმარის ეროვნულ თეატრთან აფორმებს ხელშეკრულებას, სადაც 2003-2005 წლებში წამყვან საოპერო პარტიებს ასრულებდა. აქედან იწყება მომღერლის აქტიური გამოსვლები, როგორც გერმანიის ქალაქებში, ასევე სხვადასხვა ქვეყნებში.

გაგნიძეს საერთაშორისო აღიარება, იტალიის ქალაქ ბუსეტოში 2005 წელს გამართულმა „ვერდის ხმების“ ფესტივალმა მოუტანა, სადაც კონკურსის ჟიურის თავმჯდომარეობდა დიდებული ხოსე კარერასი, იქ სხვა წევრებთან ერთად ცნობილი იტალიელი სოპრანო კატია რიჩარელიც მონაწილეობდა. ფესტივალზე გამოსვლას გიორგი ასე იხსენებს: **„დიდი მასშტაბის კონკურსია. მსურველები მსოფლიოს თითქმის ყველა კუთხიდან ჩადიან. პირველ და მეორე ტურებში ორ–ორი არია უნდა მემღერა. მესამე ტურში ვინც გავიდოდა, ის ერთ არიას იმღერებდა, საერთო ჯამში 5 არიას. სრულდებოდა მხოლოდ არიები ვერდის ოპერებიდან, იქ ასეთი წესია — პირველ არიას რომ შეასრულებ გეუბნებიან: „გმადლობთ, კარგად ბრძანდებოდეთ!“ ეს იმას ნიშნავს, რომ შემდეგ ტურში ვერ გადახვედი. თუ მხოლოდ „მადლობით“ გისტუმრებენ, მეორე ტურში გადასული ხარ. მე „მადლობა“ მითხრეს და შეაბამისად გავედი მეორე ტურში. ამის მერე ჟიურის თავმჯდომარე ხოსე კარერასი ჩემთან ამოვიდა, რაც ზოგადი წესების მიხედვით დაუშვებელიც კია და მეუბნება: ამაღელვებელი იყო „ბალ-მასკარადიდან“ შესრულებული რენატოს არია, ვერ მოვითმინე და გილოცავო! მეორე ტურში შესრულებული არიის შემდეგ კარერასმა უკვე წერტილი დასვა და გამარჯვებულად გამომაცხადა. ასე რომ ხუთის ნაცვლად, ორი არიით გავიმარჯვე“.** მეტად საინტერესოა კონკურსის შემდეგ პრესაში მუსიკალური კრიტიკოსის მიერ ხატოვნად გამოთქმული მოსაზრება: **„ისეთი შთამბეჭდავი იყო გიორგი გაგნიძის სიმღერა, რომ მისი მოსმენის შემდეგ ვერდის ძეგლმა თავი შემოაბრუნაო!...“ ვფიქრობ, ასეთ შეფასებას კომენტარი აღარ სჭირდება.**

მონაცემების გარდა, ხელოვანს (განსაკუთრებით მომღერალს), იღბალიც უნდა უწყობდეს ხელს. გიორგი სწორედაც რომ საჭირო დროს, საჭირო ადგილზე აღმოჩნდა. კონკურსში გამარჯვებულისთვის პრიზად ოპერების — „ტოსკასა“ და „ტრავიატას“ გასტროლები იყო ტოკიოში, რომელსაც, გამოჩენილი მაესტრო ლორინ მააზელი დირიჟორობდა. ამის შემდეგ, მააზელი თუ სადმე სერიოზულს ქმნიდა, ყველგან გიორგის იწვევდა.

ამ პერიოდში გაგნიძე წარმატებით გამოდის იტალიაში — პარმის, საფრანგეთში — აქსენ პროვანსის და ორანჟის ფესტივალებზე. საერთოდ „ლა სკალას“ შემდეგ, პარმის „რეჟო დი პარმას“ თეატრში გამოსვლა ერთ-ერთი ურთულესია მომღერლისათვის, რადგან აქ სულ სხვა მოთხოვნებია. 2008 წელს პარმის ფესტივალზე რიგოლეტოს სიმღერა უწევდა გიორგის, რასაც თავისთავად ნერვიულობაც ახლდა. კაფეში შესულ მომღერალს, ვიღაც იტალიელი მუსიკის კრიტიკოსი გამოელაპარაკა. კითხვაზე, თუ როგორ გრძნობდა თავს, გიორგი ცოტა შეცბუნებული პასუხობს, რომ ძალიან ღელავდა. კორესპონდენტი ასეთ რჩევას აძლევს: **„გულით იმღერეთ, სიმღერაში გული ჩადეთ და თუ რამე ისე არ იქნება, დამერწმუნეთ, იქაური მაყურებელი ყველაფერს გაპატიებთ!“** მართლაც, ჩვენმა გულიანმა თანამემამულემ გულით იმღერა და გამარჯვებაც გარდაუვალი იყო.

2007 წელს გაგნიძე მააზელთან ერთად შთამბეჭდავად გამოდის „ლა სკალას“ სცენაზე, ჟერმონის როლში ვერდის „ტრავიატაში“. იგი იმავე დირიჟორთან ერთად ნიუ-იორკის ფილარმონიული ორკესტრის თანხლებით Avery Fisner Hall-ში საკონცერტო შესრულებით მღერის სკარპიას პარტიას პუჩინის „ტოსკაში“. აქ მომღერლის გამოსვლას დიდი გამოხმაურება და საერთო აღიარება მოჰყვა. ღონისძიებას „მეტროპოლიტენ-ოპერის“ გენერალური მენეჯერი პიტერ გელბი ესწრებოდა, რომელმაც გიორგი თეატრში დაუყოვნებლივ მიიწვია. სწორედ აქედან იწყება აღნიშნულ თეატრში მისი თავბრუდამხვევი აღმასვლა. „მაესტრომ **გამიკვლია გზა მეტროპოლიტენის, ლა სკალას და მსოფლიოს დანარჩენი წამყვანი საოპერო სცენებისაკენ“** — მადლიერებით აღნიშნავს გიორგი.

მომღერლის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ 2009 წელს „მეტროპოლიტენ-ოპერაში“ იგი სეზონის გახსნაშიც მონაწილეობდა პუჩინის ოპერა „ტოსკაში“, სკარპიას წამყვან როლში, რომელსაც უდიდესი მუსიკოსი ჯეიმს ლივაინი დირიჟორობდა. პრემიერა ფრიად წარმატებული გამოდგა. სპექტაკლი სატელევიზიო ეთერით 46 ქვეყანაში გადაიცემოდა. ნიუიორკში, მანჰეტენზე დამონტაჟებულ უზარმაზარ ეკრანზე სრულად აჩვენებდნენ ოპერის მსვლელობას. გაგნიძის წარმატებული გამოსვლის შესახებ „ნიუიორკ თაიმსში“ და ევროპის ჟურნალ-გაზეთებში უამრავი პუბლიცისტური ნარკვევი დაიბეჭდა. ამის შესახებ მომღერალი იხსენებს: **„ეს ჩემს კარიერაში უდიდესი მოვლენა იყო. იმასაც კი ვერ ვიჯერებდი თეატრის წინ ეკრანზე ჩემ თავს რომ ვხედავდი. ნებისმიერი მომღერალისათვის „მეტის“ სცენაზე სიმღერა ხომ აუწერელ ნატვრას წარმოადგენს... იმდენად ვიყავი გახარებული, რომ ბედნიერებისგან ძლივსღა ვსუნთქავდი...“** აღსანიშნავია, რომ 2012-2013 წლების სეზონზე „მეტროპოლიტენ-ოპერაში“ ოპერა „რიგოლეტო“ გიორგი გაგნიძის გარეშე არ დადგმულა. სარეკორდოა, ამ თეატრში მომღერლის სპექტაკლებში მონაწილეობის რაოდენობაც, რომელიც საერთო ჯამში 100 წარმოდგენას ითვლის (ამ ციფრმა ცოტა არ იყოს მეც გამაკვირვა).

„მეტროპოლიტენ-ოპერის“ გალერეაში გამოფენილია ყველა იმ მომღერლის ფოტო, ვინც წლების განმავლობაში სოლიდური წვლილი შეიტანა სპექტაკლების მაღალ დონეზე წარმოჩენის საქმეში. ამ თანავარსკვლავედს ერთადერთი ქართველის — სკარპიას როლში გიორგი გაგნიძის ფოტოც ამშვენებს.

მომღერლისთვის საგულისყურო იყო 2018 წელი, რა დროსაც „ლა სკალაში“ ფრანკო ძეფირელის 95 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ოპერა „აიდა“ დაიდგა, სადაც ამონასროს მთავარ პარტიაში გიორგი თვით რეჟისორის მიერ იყო შერჩეული და მოწვეული. **„მე ნამდვილად ბედნიერი ვიყავი, რომ მომეცა საშუალება ასეთი დღესასწაულის მონაწილე ვყოფილიყავი“** — აღნიშნავს იგი.

მომღერალს წლების განმავლობაში აძლიერებს, მხარს უმშვენებს და სულიერად კვებავს მისი არაჩვეულებრივი ქართული ოჯახი: მეუღლე — მაია გოგოლაძე და შვილები — მარიამი და დავითი.

ᲐᲛᲥᲣᲐᲛᲐᲓ ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲡ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲓᲒᲝᲛᲘᲡ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘ ᲣᲓᲒᲐᲡ. ᲘᲒᲘ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲐᲛ ᲮᲜᲘᲡ ᲛᲐᲜᲫᲘᲚᲖᲔ 2000-ᲯᲔᲠ ᲘᲓᲒᲐ ᲡᲐᲝᲞᲔᲠᲝ ᲗᲣ ᲡᲐᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲝ ᲡᲪᲔᲜᲐᲖᲔ. ᲛᲘᲡ ᲠᲔᲞᲔᲠᲢᲣᲐᲠᲨᲘ 36-ᲛᲓᲔ ᲡᲐᲝᲞᲔᲠᲝ, ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲯᲣᲯᲔᲞᲔ ᲕᲔᲠᲓᲘᲡ 14 ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘ ᲨᲔᲓᲘᲡ. ᲒᲐᲡᲣᲚ ᲬᲔᲚᲡ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜ ᲛᲝᲛᲦᲔᲠᲐᲚᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲓᲐᲜ 50 ᲓᲐ ᲡᲪᲔᲜᲐᲖᲔ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔᲝᲑᲘᲡ 25 ᲬᲔᲚᲘ ᲨᲔᲣᲡᲠᲣᲚᲓᲐ. ᲐᲛ ᲗᲐᲠᲘᲦᲔᲑᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ, ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ, ᲛᲐᲜ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲝᲜᲚᲐᲘᲜ ᲡᲝᲚᲝ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲐ. ᲓᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲕᲐᲠ, ᲛᲐᲧᲣᲠᲔᲑᲔᲚᲗᲐᲜ ᲣᲨᲣᲐᲚᲝ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ, ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲨᲘ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲨᲔᲓᲒᲔᲑᲐ.

ᲙᲘᲗᲮᲕᲐᲖᲔ, ᲗᲣ ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲝᲞᲔᲠᲘᲡ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲐᲡ ᲐᲞᲘᲠᲔᲑᲡ ᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ? ᲘᲒᲘ ᲓᲐᲣᲤᲘᲥᲠᲔᲑᲚᲐᲓ, ᲞᲣᲩᲘᲜᲘᲡ ᲝᲞᲔᲠᲐᲡ „ᲥᲐᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲓᲐᲜ“ ᲛᲘᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲡ.

ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲔᲑᲡ ᲒᲘᲡᲣᲠᲕᲔᲑᲗ ᲒᲐᲢᲝᲜᲝ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ. ᲓᲘᲓᲔᲑᲘᲡ ᲒᲖᲘᲗ ᲘᲐᲠᲔᲗ. ᲙᲘᲓᲔᲕ ᲐᲠᲐᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲒᲐᲒᲕᲐᲝᲪᲔᲗ ᲓᲐ ᲒᲐᲒᲕᲐᲮᲐᲠᲔᲗ!..

ᲒᲔᲚᲐ ᲥᲝᲥᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ,

(ტელ. 5514919-97).

„რადიკალიზმი როგორც მარჯვნიდან, ისე მარცხნიდან სადღეისოდ ამერიკული დემოკრატიის სიმსივნეა“

ამერიკა სერიოზულ კრიზისს განიცდის. ეს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში რადიკალების როლის მნიშვნელოვან ზრდას უკავშირდება – როგორც მემარცხენეების, ისე მემარჯვენეების.

ის, რაც 6 იანვარს ვაშინგტონში ხდებოდა, არის რეაქცია „მარჯვნიდან“ – იმდენადვე უაზრო, რამდენადაც უგვანო. არჩევნების შედეგებზე ზემოქმედების ეს მცდელობა იქცა შედეგად კამპანიისა, რომელიც რამდენიმე კვირის განმავლობაში გრძელდებოდა (ვგულისხმობ არჩევნების დელიგიტიმაციის კამპანიას). ბევრს ეჩვენებოდა, რომ ამ კამპანიას რაღაც საფუძვლები ჰქონდა, მედია ძაბავდა ვითარებას. და ეს – მაშინ, როცა ყველა ამერიკული სასამართლო ან თავშივე უარს აცხადებდა სარჩელების მიღებაზე, ან წინასწარი შესწავლის შემდეგ ვერ პოულობდა საფუძვლებს საქმის განხილვისთვის. ამის შედეგად იქცა ის, რომ ათობით მილიონი ამერიკელი არჩევნებს დასრულებულად არ თვლის. ანუ, არ მიიჩნევენ ბაიდენს კანონიერად არჩეულ პრეზიდენტად.

ეს პოლიტიკური კრიზისი უდავოდ საშიშია. ნაკლებ სავარაუდოა, ისტერიკა მარჯვნიდან შესაძლებელი გამხდარიყო მემარცხენე რადიკალიზმის აღზევების გარეშე. და ესეც სტრატეგიული საფრთხეა, რომელიც დაკავშირებულია ტვინების გამორეცხვასთან სკოლებში, უნივერსიტეტებში – ამერიკის ისტორიის გადახედვის მცდელობასთან.

არსობრივად, სახეზეა რადიკალური შეტევები თავად ამერიკული ცხოვრების წესზე. „მარცხნიდან“ ხორციელდება შეტევები თავისუფალი ბაზრის ინსტიტუტზე, კაპიტალიზმზე, ხოლო „მარჯვნიდან“ – ძირითად სამოქალაქო თავისუფლებებზე.

„მარცხენა“ ფრთაში ახლა ამინდს ქმნიან ისინი, ვინც თვლის, რომ კაპიტალიზმის იდეოლოგიური ფასეულობები სრულადაა კომპრომეტირებული.

რადიკალიზმი სადღეისოდ ამერიკული დემოკრატიის „სიმსივნეა“. როგორც ჩანს, ეს გარდაუვალი პროცესია. მან უნდა ჩაიაროს, ეს ბრძოლაა, რომელმაც საბოლოოდ, უნდა გადააფორმატოს ამერიკული პოლიტიკური ცხოვრება, რადგან სადღეისოდ ორივე პოლიტიკური პარტია დაავადებულია მისით.

დღეს ამინდს ქმნიან რესპუბლიკელები, რომლებსაც უჭირთ გათავისუფლება „ტრამპისტული“ მემკვიდრეობისგან. რაც შეეხება დემოკრატებს, შესამჩნევია, რომ მათზე „მარცხნიდან“ წნეხი იზრდება.

ბაიდენის ადმინისტრაცია ჯერჯერობით უძლებს. კითხვა იმაში მდგომარეობს, რამდენ ხანს გაგრძელდება ასე, რადგან მემარცხენე რადიკალური ტალღის ასაკი მკვეთრად განსხვავდება თავად ბაიდენის ასაკისგან.

„ჰიტლერის მემკვიდრეები გერმანიის ხელისუფლებაში რაღაც არ შემიმჩნევია. აი, რუსეთს კი სტალინის მემკვიდრეები მართავენ“

– 1997 წელს ზბიგნევ ბჟეზინსკიმ დაწერა წიგნი „დიდი საჭადრაკო დაფა“, რომელშიც საუბრობდა აშშ-ის სტრეტეგიულ მიზნებზე, განავრცოს თავისი გავლენა ცენტრალურ აზიასა და პოსტსაბჭოთა სივრცეში. ავტორმა უკრაინას „რუსეთის ფედერაციად წოდებული იმპერიის უკანასკნელი პლაცდარმი“ უწოდა და ამტკიცებდა, რომ უკრაინაში პროდასავლური კურსის დამყარება ერთადერთია, რაც აშშ-ს მისი გავლენის შენარჩუნება-განმტკიცების შესაძლებლობას მისცემს. სადღეისოდ აშშ-ს მსგავსი ამბიციები აღარ აქვს?

– ახლა საერთოდაც ძნელია რაღაც სივრცის გაყოფა. პანდემიამ აჩვენა, რამდენად მოწყვლადია მსოფლიო და ამავდროულად, რამდენად მჭიდროდაა იგი ურთიერთდაკავშირებული. ამიტომაც ნებისმიერი სერიოზული რეგიონული გამოწვევები გლობალურად იქცევა.

გამოწვევა პუტინის სახით რეგიონული ხასიათის როდია. ბუშის ადმინისტრაციის არსურვილმა, რეალობა ელიარებინა, ობამას ძალზე სუსტმა, გაუბედავმა პოზიციამ, კონფლიქტისთვის თავის არიდების მცდელობამ, ხოლო შემდეგ რაღაც სანახევრო მოქმედებამ, როგორც რეაქციამ 2014 წელს უკრაინის მიმართ რუსეთის ღია აგრესიაზე, მოგვიტანა ის, რომ პუტინის ჰიბრიდული ომების ეს „სიმსივნე“ მთელს მსოფლიოს მოედო.

სამომავლოდ გრადუსი მხოლოდ მოიმატებს. მაგალითად, პირველად 12 წლის განმავლობაში, დავოსში პუტინის სიტყვით გამოსვლა იყო სირცხვილი, რადგან კლაუს შვაბმა (გერმანელმა ეკონომისტმა, დავოსის მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის დამაარსებელმა და უცვლელმა პრეზიდენტმა – რედ.) – ამ პუტინის ფინიამ მას პლატფორმა დაუთმო იმ მომენტში, როცა პუტინის ზონდერები მოქალაქეებს სახლებში უვარდებოდნენ.

ეს მორიგი დემონსტრირებაა იმისა, რამდენად ღრმად გაიდგა ფესვები ამ ინფექციამ, რამდენად გაღრმავდა დასავლელი ბისზნესმენების ყიდვის პრაქტიკა და დასავლური პოლიტიკის „შრიოდერიზაცია“.

ნათელია, რომ სანამ მართვის სადავეები პუტინის ხელშია, ვითარება მხოლოდ გაუარესდება. მეტიც, ფსონი მუდმივად იზრდება და პუტინმა უკვე ქცევის ელემენტარულ ნორმებზეც კი თქვა უარი.

გარი კასპაროვი:

პუტინის რუსეთი ღინოზავრია – უზარმაზარი სხეულითა და პატარა ტვინით



ეყრდნობა პუტინი. რა დამოკიდებულება გაქვთ იმ თეზისის მიმართ, რომ პუტინის დასამარცხებლად პუტინად ქცევაა საჭირო?

– პუტინზე უარესი უბრალოდ ვერ იქნები, რადგან აქ საქმე გვაქვს ერთპიროვნულ დიქტატურასთან. ნებისმიერი სხვა ფორმა, თუნდაც არადემოკრატიული, არამედ, ვთქვათ, კომპარტიის პოლიტბიუროს დონის, მაინც, მოიაზრებს ინტერესთა ბალანსს.

დავოსში პუტინი ევროპას პირდაპირ დაემუქრა. სხვა როგორ უნდა აღვიქვათ მის მიერ ვითარების 1930-იანებთან შედარება? ეს ხომ ნათელია იმის გათვალისწინებით, რომ ჰიტლერის მემკვიდრეები გერმანიის ხელისუფლებაში რაღაც არ შემიმჩნევია, აი, რუსეთს კი სტალინის მემკვიდრეები მართავენ. და პუტინი, სხვათა შორის, არ აპირებს უარის თქმას „პატივზე“, გენერალისიმუსის საქმე განაგრძოს.

ეს იყო პირდაპირი მუქარა, რომელმაც რუსეთში რეპრესიების თვისობრივად ახალი ხარისხის ფონზე გაიჟღერა. ეს არის, უპირველესად, პუტინის პასუხი ევროპასა და აშშ-ს ნავალნის გათავისუფლებისაკენ მოწოდებებზე.

ჯერჯერობით პუტინის გარემოცვისა და რეჟიმის საკვანძო ფიგურების მიმართ სანქციები საკმაოდ აბსტრაქტული ცნება იყო. ვისურვებდი, პირდაპირი დარტყმები მენახა.

პრობლემა იმაშია, რომ დასავლური ელიტების კორუმპირებულობის ამჟამინდელ დონეს, პუტინის აგენტურისა და ლობისტების ამჟამინდელ გავლენას მსოფლიო ისტორიაში ანალოგები არ აქვს. მაგალითად, გერმანიის ყოფილი კანცლერი პუტინთან „ბენზოგასამართ სადგურზე“ მუშაობს (გერჰარდ შრიოდერი რუსული „გაზპრომისა“ და „როსნეფტის“ სტრუქტურებშია დასაქმებული – რედ.).

სანამ არ მოხდება პუტინის რეჟიმისა და თავად პუტინის კონკრეტული იზოლაცია, კრემლის ქმედებებში ცვლილებების მოლოდინი ფუჭია. იმედი მაქვს, თვითგადარჩენის ინსტინქტი მაინც უბიძგებს დასავლეთს ამისაკენ.

– რუსეთში ათობით მილიონი ადამიანია დარწმუნებული, რომ ომი – ეს მშვიდობაა, თავისუფლება – მონობა, არცოდნა – ძალა, ყირიმი – მათი. სწორედ ამ ძალას

თუნდაც მაფიოზური მართვის ნებისმიერი მოდელი, რომლის დროსაც არსებობს ბევრი „ოჯახი“, მოიაზრებს გარკვეულ კომპრომისს, რადგან არსებობს სხვადასხვა ინტერესები, ხოლო დიქტატორი, რომელიც ბერდება, ნარკომანივითაა – იძულებულია, იღებდეს ძალაუფლების, აგრესიის, მკვლელობების სულ უფრო დიდ „დოზას“. ამდენად, ყველაზე საშიშები და აგრესიულები ერთპიროვნული დიქტატორები არიან, რომელთა ინტერესი ძალისა და ურყევობის მუდმივ დემონსტრირებას ითხოვს.

Bellingcat-ის გამოძიება აჩვენებს, რომ რუსეთი უკვე აღარაფრით განსხვავდება ლათინოამერიკული დიქტატურებისგან. სიკვდილის ესკადრონები ნადირობდნენ არა მარტო ნავალნიზე და არა მარტო პოლიტიკოსებზე.

რუსეთი იმართება სტრუქტურით, რომლის მწვერვალზე დგას დიქტატორი, აგრესიისა და ფაშიზმის იდეების დაუფარავად მქადაგებელი. პუტინის პიროვნება ფორმირდებოდა არა უნივერსიტეტებში, არამედ ჯერ ქუჩაში და შემდეგ „კგბ“-ში. სწორედ ესაა ის საწყისი მასალა, რომელმაც სადღეისოდ „ფრთა გაშალა“.

„რუსეთმა დაიჭირა გარდაუვალი ისტორიული ტრენდი, რომელსაც იმპერიის დაშლისკენ მივყავართ“

ჩემი აზრით, რუსეთმა დაიჭირა გარდაუვალი ისტორიული ტრენდი, რომელსაც იმპერიის დაშლისკენ მივყავართ. და აქ მოსკოვს ვერც უკრაინის ფეიქ-სახელმწიფოდ გამოცხადების მცდელობები (რომელსაც რუსული ტელევიზია 24/7 რეჟიმში ახორციელებს) უშველის, ვერც კრემლის სუბსიდიებზე მდგომი ლუკაშენკოს „კვება“, ვერც საქართველოს მიმართ აგრესია, ვერც მოლდოვას კონტროლზე აყვანის მცდელობები, – ეს ყველაფერი აგონიაა.

თუმცა, აგონია, შესაძლოა, ხანგრძლივი და საშინელი აღმოჩნდეს. როცა სულს ღაფავს დინოზავრი უზარმაზარი სხეულითა და პატარა ტვინით, ყველაფერი შეიძლება, მოხდეს.

– რუსეთის დაშლა მეზობლებისთვის კარგი სიახლე იქნება? რისთვის უნდა ემზადონ ისინი?

– ნებისმიერი იმპერიის დაშლა მტკივნეული პროცესია, თუმცა ისტორიული გარდაუვალობა.

ნიუანსი იმაში მდგომარეობს, რომ რუსეთის იმპერია, სხვებისგან (ბრიტანულისგან, ფრანგულისგან, ესპანურისგან ან პორტუგალიურისგან) განსხვავებით, ტერიტორიულად იყო დაკავშირებული. „ტრადიციულ“ იმპერიებში იყო მეტროპოლია და მას მოშორებული ტერიტორიები, ასიმილაციისა და კოლონიური კადრების იმპერიულ ელიტაში შედინების პროცესი კი ასწლეულობით გრძელდებოდა. რუსეთში ეს უფრო ინტენსიურად ხდებოდა.

თუმცა, მეორეს მხრივ, ნათელია, რომ სადღეისოდ მსოფლიო შეცვლილია და გიგანტური იმპერიული წარმონაქმნები სიცოცხლისუუნაროა.

რუსეთის პრობლემა იმაშია, რომ სსრკ-ის დაშლის მიუხედავად, იგი ვერა და ვერ იქცა ნორმალურ ფედერაციულ სახელმწიფოდ. რუსეთი დარჩა იმპერიად. ეროვნული სახელმწიფოს ფორმირების პროცესი შეწყდა.

მაღალი ალბათობით, მომავალ თავისუფალ დემოკრატიულ რუსეთში გეოგრაფიული საზღვრები განსხვავებული იქნება ამჟამინდელისგან. და ამაში ვერავითარ პრობლემას ვერ ვხედავ.

– როგორ აფასებთ რუსეთში დაბრუნების შემდეგ ნავალნის მოქმედებას?

– ნავალნისთან აზრთა პოლიტიკური სხვადასხვაობა არაერთ საკითხში მაქვს, მაგრამ დღეს ამაზე საუბარი სწორი არ იქნება, რადგან იგი პუტინის რეჟიმის მიმართ წინააღმდეგობის სიმბოლოდ იქცა და მოწამლვის შემდეგ ქვეყანაში დაბრუნება გმირობის აქტი იყო.

რეალურად, პროტესტი მნიშვნელოვნად სცილდება მხოლოდ ნავალნის პიროვნების ფარგლებს, მაგრამ ვიღაცას მისი გენერირება უნდა მოეხდინა.

ხელისუფლების წინააღმდეგობის დონე ახლა უპრეცედენტოა, – მუშაობა სკოლებში, მშობლებთან, წინასწარი დაკავებები – და არა მარტო ნავალნის აქტივისტების: აკავებდნენ იმ ადამიანებსაც კი, რომლებიც ჩვენთან 10-15 წლის წინ მუშაობდნენ. ანუ, მთელს ბაზაზე, რომელიც მთელი ამ წლების განმავლობაში გროვდებოდა, ჩატარდა პრევენციული სამუშაო. და ამის მიუხედავად, ქუჩებში მაინც ბევრი ხალხი იყო.

ახალ ტექნოლოგიებთან კრემლის მეთოდებით ბრძოლა განწირულია. კითხვა მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რა ფასის გადახდა მოგვიწევს იმაში, რომ პუტინის რეჟიმი ისტორიის სანაგვეზე აღმოჩნდეს.

დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ“ № 34-35

„თაგვმა თხარა-თხარა, კატა გამოთხარა!“

ვაგრძელებთ TAKO-სადმი მიძღვნილ ციკლს

ამ პუბლიკაციის ძარღვი გახლავთ ბატონ ზვიად გამსახურდიას კრიტიკული წერილი ჯანსუღ ჩარკვიანის პოეტური შემოქმედების შესახებ.

ეს წერილი ბევრ რამეზე მეტყველებს. ჯერ ერთი, იმაზე, თუ როგორ აფასებდა მომავალი „მთაწმინდელის“ პოეზიას ავტორიტეტული ლიტერატორი და, მეორეც – რატომ იდგა ანტიგამსახურდიასეულ მიტინგებზე და რატომ გახდა მის წინააღმდეგ მოწყობილი ამბოხების მონაწილე „იატაკქვეშა დისიდენტი“ პოეტი, დღეს ქართული პატრიოტული მოძრაობის ერთ-ერთი „მგზნებარე ტრიბუნის“ და უბადლო ტელევარსკვლავ – „პუბლიცისტკის“ მამა, რომელიც თურმე როგორც TAKO-თაკო ისტერიულად ამტკიცებს, პუტჩისტობის პარალელურად ბატონი ზვიად გამსახურდიას მეგობარი და თანამებრძოლიც იყო.

გაითვალისწინეთ, რომ ეს წელინადნახევრის წინანდელი პუბლიკაციაა.

რა თქმა უნდა ამ წერილსაც მე და ჩემს ე.წ. „კლასტერს“ გვაბრალებს უზნეო და უტიფარი TAKO, აბსოლუტური ცრუპენტელა და გასაოცრად უვიცი!

ჯერ ჩემს შესავალს გაეცანით.

Нугзар Попхадзе
5 июля, 2019 г.

„შენ დაუკა,TAKO,
შენ კი დასცხე ტაში, კუკური!!!“

* * *

ცნობილი ქართველი საბჭოთა პოეტის და იმავდროულად „იატაკქვეშეთელი დისიდენტის“ ქალიშვილმა TAKO-მ მორიგი ბოდვა(!!!) გამოაცხო იმ საპასუხო წერილით გადარეულმა, რომელიც აქ, ჩემ გვერდზე გამოქვეყნდა, „რეპორტიორში“ და გადაუბეჭდავს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“: „მუზა ვარ, მუზა!“ (http://reportiori.ge/inside.php?menuid=48&id=102601)

ერთი სიტყვით, ერთადერთი, რაც ამ ბაზრის დედაკაცს ჯერჯერობით არ უკადრებია, დედის გინებაა... მაგრამ მის ზნეკეთილობას, ინტელექტს და არნახულ პირად კულტურას თუ გავითვალისწინებთ, ყველაფერი წინ მაქვს...

„ტრადიციულ ბრალდებებს“ შორის ქალბატონი „პუბლიცისტკა“ გამოყოფს განსაკუთრებულ თემას: მამამისის უახლოეს მეგობრულ ურთიერთობას ეროვნული მოძრაობის ლიდერებთან – ზ.გამსახურდიასთან და მ.კოსტავასთან, თურმე ხელს უშლიდა, მათ აპირისპირებდა და ერთმანეთის წინააღმდეგ აქეზებდა მაშინდელი კომპარტიის ცეკა, კაგებე და... პირადად მე!

ამ ჭკუათხელ მდედრს ავიწყდება ასაკობრივი სხვაობა თაობებს შორის. როცა ეს „დაპირისპირება“ დაიწყო, ბატონი ჯანსუღი მაღალი რანგის პოეტი-ჩინოსანი გახლდათ, მე – იმ დროს ახლად სკოლადამთავრეული ყმაწვილი, ზეინკლად ვმუშაობდი თბილისის ერთ-ერთ დიდ საწარმოში და, თურმე... იქიდან ვმართავდი ცეკას, ტეკას, კაგებეს, მწერალთა კავშირს და ქართულ მედიას.

რას იზამ, მაგრად არიან ეს ოხერი „ნორჩი პოლიტიკოსები“ „ინფორმირებულები“.

ვიდრე ლოგიკურ პასუხს გავცემდე TAKO-ს მორიგ ბოდვა-აბდაუბდას, მანამდე მინდა, დრო და ადგილი მოვიგო და ჩემს ფბ-მეგობრებს ამ პირველი(!) პუბლიკაციით (დანარჩენი შემდგომ) შეგახსენოთ ის, რაც ისედაც კარგად იცით, თანაც კიდევ ერთხელ დაგარწმუნოთ სკოლიდან გამოყოლილი სიბრძნის ჭეშმარიტებაში: გამეორება ცოდნის დედაა!

აი, ეს პუბლიკაცია (რაც ნებისმიერ თქვენგანს აქამდე შეეძლო სულ ადვილად მოეძებნა ინტერნეტში) კიდევ ერთხელ მეტყველებს, თუ რა „მაგრად“ მუშაობდა მაშინდელი ცეკა-ტეკა, რათა დაეპირისპირებინათ ეროვნული მოძრაობის ლიდერები „იატაკქვეშ“ მოღვაწე „დისიდენტებთან“.

მერე რა, რომ ამ წიგნის გამოცემის დროს (1991 წ.), არც კომუნისტები, არც „ცეკა-ტეკა“, არც კაგებე არ იყვნენ პოლიტპოდიუმზე და, თქვენ წარმოიდგინეთ, არც თქვენი მონა-მორჩილი ცხოვრობდა საქართველოში. მით უმეტეს, წიგნის ავტორი იმ დროს საქართველოს პრეზიდენტი გახლდათ და ცენზურაც კარგა ხნის გაუქმებული იყო...

TAKO-სთვის ამ რეალობას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. მისთვის მთავარია იყბედოს, ამტკიცოს, რომ უტყუარი ფაქტებით სავსე აქვს „დოსიე“ და მთავარი: ქვეყანა დააჯეროს თავისი ოჯახის „დისიდენტურ“ წარსულში. არადა, მაშინდელი „ელიტა“ ამ ოჯახს პატივს ცემდა სწორედ მისი საბჭოურობის(!), საზოგადოებრივი აქტიურობის და იმ დროის(!) ადეკვატური, ანუ კომუნისტური პოზიციებისა გამო. ამიტომ იყო „სასიქადულო პოეტი“ ყველა ჯილდოს და რეგალიის მფლობელი. ეს „იდიოტი, ბრმა და ყრუ“ კომუნისტები, ისევე, როგორც ელამი კაგებე და შტერი ცენზურა, ვერ „ამჩნევდნენ“ მტრული იდეოლოგიის „ღრმა დაშიფვრის აგენტის“ – ჯანსუღ ჩარკვიანის საქმიანობას.

ერთი სიტყვით, წაიკითხეთ ეს წერილი, რომლის შინაარსსაც, მე რომ მკითხოთ, არავითარი კომენტარი არ ჭირდება.

ფეისბუკში კი მის მახვილგონიერებით აღსავსე პუბლიკატორს პირადად არ ვიცნობ, არასოდეს შევხვედრივარ, არ მისაუბრია ტელეფონითაც კი, არ ვიცი, საერთოდ, ვინ არის და, თუკი ცრუპენტელა TAKO მასაც ჩემს ტროლობას დაბრალებს, კიდევ ერთხელ სიცილით შევძახებ: შენ დაუკა, ცრუპენტელა თაკო, შენ კი ტაში, ძმაო კუკური!

* * *

ახლა კი გაეცანით ამ წერილს. სამწუხაროდ ორიგინალის მოძიება ფბ-ზე გაძნელდა.

Guram Megrelishvili
30 апреля, 2019 г.

ზვიად გამსახურდიას კრიტიკული წერილი ჯანსუღის პოეზიაზე. მე ამაზე სასაცილო კრიტიკა არ წამიკითხავს. ამონარიდებს დავდებ. ზოგადად, ეს ძალიან მაგარი წიგნია და გირჩევთ:

„...ასეთი უტყუარი პლაგიატის ნიშნები მრავალია ჯ. ჩარკვიანის შემოქმედებაში.

„მიეცით ნიჭსა გზა ფართო,
თაყვანისცემა ღირსებას.“ (ორბელიანი)
„მიეცით ნიჭსა შარაგზა ფართო,
თაყვანისცემა უნდა ღირსებას!“ (ჩარკვიანი)

ორბელიანის სიტყვები „საქართველოო, ლამაზო“ ანა კალანდაძემაც გამოიყენა, მაგრამ მან ბრჭყალებში ჩასვა ეს სიტყვები...

არაერთგზის აღნიშნულა, ჩარკვიანის „ლეჩხუმში“ გადმოღებულია ილიას „კითხვა პასუხიდან“, ზოგიერთი სტრიქონი კი სრულიად უცვლელია:

„მაგრამ რამდენად მშვენიერი ხარ,
იმდენად უფრო მიკვდება გული!“

ეთიკა მოითხოვდა, სადმე გაკვრით მაინც ეხსენებინა ჯანსუღს ილია, როგორც გალაკტიონს ბოდლერი, მაგრამ ჩარკვიანმა საჭიროდ არ ჩათვალა ...

ძალიან ხშირად „სესხულობს“ ჩარკვიანი ხალხური პოეზიიდანაც. ძალიან კარგია, როცა პოეტი დაკავშირებულია ხალხურ ძირებთან, მაგრამ პოეზიის ხალხურობა არ ნიშნავს ხალხური ლექსების საკუთრად გასაღებას...

„ბინდისფერია სოფელი
უფრო და უფრო ბინდდება“ (ხალხ.)

„ბინდისფერია წუთისოფელი,
შეხე, თანდათან უფრო ბინდდება!“ (ჩარკვ. „ჯაჭვის თორანი გვ 94“)

ახლა ეს:

„დედას ვუყვარვართ შვილები
დედა არ გვახსოვს შვილებსა,
და მისთვის წუთისოფელი
გვტანჯავს და გვაცოდვილებსა“
(„ყაჩაღი ჭიჭოშვილი“. ხალხ.)

„თავს ვურჩევნივართ დედას შვილები,
დედა არ გვახსოვს ხოლმე შვილებსა,
სწორედ მიტომაც წუთისოფელი
გვტანჯავს და ასე გვაცოდვილებსა“
(ჩარკვიანი, „მზის მოსავალი“)

ან აქ?

„რად გინდა ქალი უცხო მხრის,
დასნეულდება, მოკვდება“ (ხალხ.)
„რად გინდა, ძმაო, უცხო მხრის ქალი,
დასნეულდება, მალე მოკვდება!“ (ჩარკვიანი)...

ცალკეული თქმებისა და პოეტური სახეების მითვისებაში ხომ ბადალი არა ჰყავს ჯანსუღს:

„ტრამალ და ტრამალ დაგედევნები!“ (გოგლა)
„ყანა და ყანა დაგედევნები! (ჯანსუღი)
„ვით იესოს ლურჯი ტანი“ (ასათიანი)
„დღეები ქრისტეს ლურჯი ტანივით!“
(ჩარკვიანი)

აქ აღსანიშნავია, რომ როდესაც ჯანსუღი სხვის მოხდენილ თქმას თავის სიტყვებს მიაბამს, სისულელე გამოუდის ხოლმე....

პლაგიატის გარდა, ჩარკვიანთან ხშირია სალიტერატურო ენის აღრევა და პროვინციალიზმი, მაგალითად:

„ვინც დიადია,
მისი ჯინი აქვთ!“

პოემა „რწმენის კედელში“ კაი-კაი აბსურდებსაც წააწყდებით:

„ყვირილი გვმართებს,
დღისით, მზისით,
ათასი ფუთი,
ათიათასი!“

ან, ეს თუ ჰგავს მოზრდილი კაცის დაწერილ ლექსს, თანაც პოეტისას:

„წაუღიათ ნისლებს,
დაბინდული ფრთები,
ნეტავ შევხვდე ვისმეს,
შენზე მოვუყვები.
მაგრამ თუ სისხლი არ განვაახლეთ,
და ყველაფერი ისე დავმარხეთ,
ხომ ყველაფერი დაგვივიწყეს და
ხომ ყველაფერი აგვიტალახეს!“

როგორც ვხედავთ, აქ რითმებად ითვლება „ფრთები“ – „მოვუყვები“ და „დავმარხეთ“ – „აგვიტალახეს“!

ან ეს აბდაუბდა როგორ მოგწონთ:

„გავიდებ დროშას,
მზისფერ დროშას,
გავიდებ მხარზე,
თოხივით არა, მართლა გავიდებ!“

ნუთუ თოხს არ აქვს თავისი დანიშნულება, ან იქნებ ჩარკვიანი თავს გვაწონებს იმით, რომ განსხვავება იცის თოხსა და დროშას შორის?...

ჯანსუღ ჩარკვიანი ხშირად წერს პატრიოტულ ლექსებს, უადგილოდ ახსენებს „ნიკორწმინდას“, „ფიტარეთს“, „ნინოწმინდას“, მაგრამ ამ სტრიქონებში პოეტი ასე მიმართავს საქართველოს:

„ვაი, მაგ მკერდს, სამამულოს,
ვინ ოხერი გიკოცნიდა!“

ერთი, რომ სამამულო ომი გაგვიგია, სამამულო მკერდი არა, მეორეც, „ვინ ოხერი“ რა უნდა ასეთ პატრიოტულ ლექსში? , უნებურად საქართველო შედარებულია ისეთ ქალთან, „ყველა ოხერი“ რომ უკოცნის ძუძუებს?...

ჩარკვიანის უსუსურობა ლექსისა და სტრიქონის ფლობაში საცნაურია. ერთ-ერთ პოემას ქვია „ჯაჭვის თორანი“. სიტყვა „თორანი“ სულხან საბას მიხედვით ჯაჭვის პერანგს ნიშნავს, ეს იგივეა ვთქვათ „წყლის ნაკადული“ „ჰაერის ქარი“. თუმცა, ჯანსუღს ჩვევია ხოლმე „მე თქვენ გეძახით, განათებულო, განთიადებო!“ (თითქოს განთიადი ისედაც განათებასთან არ ასოცირდებოდეს).

ახლა ეს:

„ეს არის მხოლოდ რაც ხელს გადაჰყვა
და რაც ბუნებამ მოგირბენინა“ (ცელქი ბუნება, ბავშვივით მორბენალი)
„ხეზე კიდია ბოროტი სული
და აქანავებს სარწმუნოება“ (უცნაურია, როგორ უნდა „აქანავებდეს“ სარწმუნოება რამეს?)

პოეტმა კი უნდა იცოდეს, რა სხვაობაა კონკრეტულ და აბსტრაქტულ სახელებს შორის. განა შეიძლება, მაგალითად „ზნეობა ჩეხავდეს შეშას“ ან არამზადობა მოდიოდეს რუსთაველის პროსპექტზე?

თუმცა პოეტს უყვარს „აღმოჩენებიც“, მაგალითად „შენი თოვლი, თოვლისფერია“ „ფრთები ფრთებით მიჰქრიან“ და სხვა...

აბსურდის გარდა, ავტორთან არაესთეტიკური გამოთქმებიც ხშირია:

„მატარებლები
ძაღლივით უყეფდნენ მთვარეს.
მთვარე კი ეგდო
მაზუთიან
ფერად წუმპეში
და ახტებოდნენ გამვლელები
ამხელა მთვარეს!“
(და ამას მოჰყვება გამსახურდიას ღადაობები):
„გაეკიდება ნაცრისფერ ქარებს,
ფრთამოტეხილი, მშიერი ყვავი“

ჯერ საღი ფრთების ყვავი ვერაა შავარდენივით და ახლა ფრთამოტეხილი და მშიერი ყვავი რანაირად გამოედევნებოდა, ხომ წარმოგიდგენიათ?

ისე კი, მთვარე მოწონს პოეტს და სხვადასხვა კონტექსტშიც „იყენებს“:

„დილამდე ხელში ეჭირათ მთვარე
და ლამაზ თითებს უზალთუნებდნენ!“

ალბათ „უთათუნებენს“ თუ მიამსგავსა, თორემ უზალთუნებდნენო იგივეა თქვა „უშაურებდნენ“ ან „უაბაზებდნენო“.

ჯანსუღს ჩვევია „სესხება“ არა მხოლოდ სხვა ავტორებისგან, საკუთარი თავისგანაც, აი, მაგალითად:

„ათასი კვირტი,
ათასი ნაღმი
და აფეთქება ასიათასი,
გამოღმით მე ვარ,
შენა ხარ გაღმით,
და გაზაფხულის გაქვს სილამაზე“
(„სილამაზე“ ჩარკვიანი)
„სალამი ქვეყნად
სამოთხის ბაღებს
სალამი ჩიტებს, ასიათასებს,
გამოღმით მე ვარ
შენა ხარ გაღმა,
და გაზაფხულის გაქვს სილამაზე“
(„იადონები“ ჩარკვიანი).

თუ გავითვალისწინებთ, რომ „გამოღმით მე ვარ, გაღმით შენ“ ვაჟას ცნობილი ლექსიდანაა, ორმაგი პლაგიატიც კი გამოდის.

აღარ მიკვრის რატომ იდგა რუსთაველზე, მთავრობის სახლის წინ ცხონებული ჯანსუღი.

* * *

კომენტარები:

Tengiz Sanikidze

ეს ქალი მანამ არ მოისვენებს, სანამ ფაქტებს არ დაუდებენ ვინ იყო მამამისი.

მანანა კვირტია

რას ვერჩით ბატონო ნუგზარ ამ ქალს, მამის ანდერძს ასრულერბს: ყვირილი გვმართებს დღისით, მზისით ათასი ფუთი, ათიათასი...

IRA GOGOSASHVILI

ზვიადი ყოველთვის „ჯანსუკი“-ს ეძახდა!



ნუგზარ ფოფხაძე

◎ არჩევანი

ისტორიულ სამშობლოში

თბილისის „დინამოს“ ყოფილი თავდამსხმელის კობა წიტაიშვილის ვაჟმა გიორგი წიტაიშვილმა არჩევანი ისტორიული სამშობლოს სასარგებლოდ გააკეთა და საქართველოს მოქალაქეობის მიღება გადაწყვიტა, რაც მომავალში ჩვენი ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში თამაშის საშუალებას მისცემს.

ეს მისი ბაბუის ოცნება იყო, რომელიც რამდენიმე თვის წინათ გარდაიცვალა.

შეგახსენებთ, რომ უკრაინის გუნდის მაისურით ჭაბუკთა მსოფლიოს ჩემპიონატში გამარჯვების შემდეგ მოიერიშე ნახევარმცველი კიევის „დინამოს“ სპორტულ ღირსებას იცავდა, საიდანაც იჯარით პოლტავის „ვორსკლაში“ გაუშვეს.

გიორგი შოთაძე

◎ ლეგიონერი

ამჯერადაც „ჯვაროსანი“

როგორც მოგეხსენებათ, გიორგი შერმადინი მიმდინარე სეზონში უკვე ორჯერ დაასახელეს ესპანეთის ჩემპიონატის თავის ყველაზე სასარგებლო მოთამაშედ (MYP).

და აი, „იბეროსტარ ტენერიფეს“ ცენტრის მორიგი აღიარება: საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი ლიგა ენდესას პრესტიჟული ნომინაციის — „გასული წლის გიგანტის“ ლაურეატი გახდა.

დავძენთ, რომ აღნიშნული ჯილდო ოცდამეცამეტედ მიაკუთვნეს და შარშან იგი მაშინ „ბასკონიას“, ხოლო ამჟამად ცსკას ქართველ ლეგიონერ თორნიკე შენგელიას გადაეცა.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ტალანტი

ოსტატი და შეგირდი

5-7 მარტს პოლონეთის ქალაქი ტორუნი მძლეოსანთა ევროპის ზამთრის ჩემპიონატს უმასპინძლებს, სადაც ახალციხელი მინდია ენდელაძეც იასპარეზებს.





სახელოვანი თანამოქალაქე ვეტერანის — ზიგმუნდ ზილბერშტეინის შეგირდმა ეს ლიცენზია სტამბოლში დარბაზებისთვის გამართულ დიდ საერთაშორისო ტურნირში 400 მეტრზე სირბილში გამარჯვებით მოიპოვა (47, 26), თანაც მისივე შარშანდელი ეროვნული რეკორდი (47, 84) გაუმჯობესა.

ბადრი იაშვილი

◎ ჩემპიონთა ლიგა

ლოგიკის კარნახით

ახალი თავკაცის — თომას ტუხელის გაწვრთნილმა „ჩელსიმ“ ათი შეხვედრიდან რვა მოიგო და ორი ფრედ დაასრულა, „ატლეტიკო“ კი, პირიქით, პრიმერა-დივიზიონში ფეერიული სტარტის შემდეგ კრიზისს განიცდის, ბოლო სამ თამაშში მხოლოდ ერთი ქულა მოაგროვა და უკვე უახლოესი მდევრების — ესპანური ფეხბურთის გრანდების სუნთქვას გრძნობს.

ასეთ ვითარებაში კოვიდპანდემიის გამო ბუქარესტში გამართულ ყველაზე პრესტიჟული საკლუბო ევროტურნირის პირველ მერვედფინალურ რაუნდში მოვლენები ლოგიკურად განვითარდა და მატჩი „არისტოკრატთა“ გამარჯვებით დასრულდა — 1:0. ბრძოლის გვირგვინად **ჟირუს** მიერ მიმდინარე ლიგაში მაკრატელათი გატანილი მეექვსე გოლი იქცა.

მოსალოდნელ წარმატებას მიაღწია მოქმედმა გვირგვინოსანმა „ბაიერნმა“, რომელმაც რომში კლასიკური გაკვეთილი ჩაუტარა „ლაციოს“ — 4:1 (ლევანდოვსკი, მუსიალა, სანე, აჩერბი — საკუთარ კარში; კორეა).

აღსანიშნავია, რომ რეკორდმაისტერი უკვე თვრამეტი შეხვედრაა, რაც წაუგებელია. არანაკლებ ფასეულია პირველი და მეორე ბურთების ავტორთა ინდივიდუალური მონაგარიც.

კერძოდ, პოლონელმა სნაიპერმა მორიგი ზუსტი დარტყმით ლიგის ისტორიაში 72 გოლით მესამე ადგილზე გადაინაცვლა და ბომბარდირთა დავაში თვით რაულს გაუსწრო. მასზე წინ მხოლოდ რონალდუ (134) და მესი (119) არიან.

რაც შეეხება ინგლისელ ნახევარმცველს, მან „ბარსელონას“ თინეიჯერ კრკიჩის მაჩვენებელი გააუმჯობესა და ყველაზე ახალგაზრდა ამიერიდან უკვე ისაა, ვინც მეტოქეს თამაში ცენტრიდან განაახლებინა.

მანუჩარ გიორგაძე

◎ რეკორდი

ყინულოვანი მილიონები

ალბერტის პროვინციის ქალაქ ედმონტონში კანადის ახალი რეკორდი დამყარდა ჰოკეის მატჩის ხანგრძლივობაში.

ოთხი თებერვლიდან 15 თებერვლის დილამდე ორ გუნდად დაყოფილმა 40-მა მოყვარულმა მოთამაშემ 252 საათის განმავლობაში ერთმანეთის კარში 5177 შაიბა გაიტანა (მარათონული მატჩის ანგარიშია 2649:2528) მაშინ, როცა ღამით ტემპერატურა ხანდახან 55 გრადუს ყინვამდე ეცემოდა.

პანდემიის გამო უმაყურებლოდ, ონკოლოგიასთან ბრძოლის ფარგლებში სამედიცინო კვლევისთვის გამართული საქველმოქმედო შეხვედრის თაოსნებმა 1,8 მილიონი დოლარი შეაგროვეს.

ბეჟან დოლიძე

◎ წუმპეში



აუზიდან - ციხეში

ატლანტის ოლიმპიადის ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზიორი ცურვაში, 45 წლის ავსტრალიელი სკოტ მილერი ეჭვმიტანილია სამხრეთ უელსის შტატში 1,5 მილიონი დოლარის ღირებულების ნარკოტიკული ნივთიერების მეტამფეტამინის გავრცელებაში, რომელსაც სანთლებში მალავდა.

ნარკოკარტელის დაკავებულ სპორტსმენ მეთაურს მისივე სახლის ჩხრეკისას პოლიციელებმა ერთი კილოგრამი ჰეროინიც აღმოუჩინეს, აღარაფერს ვამბობთ მცირე რაოდენობით სხვა „სიამეებზე“.

კოგა კოგახიძე

სტალინისა და ფოლკნერის ჩიბუხები...

ეს საინტერესო წიგნი „გულის ჭიდილი საკუთარ თავთან“ 1999 წელს გახლავთ გამოცემული, ოღონდ ამჟამად, ახლახან მომხდარ ამბავს უკავშირდება. მისი მთარგმნელები არიან პაატა და როსტომ ჩხეიძეები; საჩუქრად გამოცემისთანავე მივიღე როსტომისგან და თარგმანიც არაჩვეულებრივია. ეს ადრეც აღვნიშნე, მაგრამ ახლა სულ სხვა რამეზე ვწერ და ერთი საინტერესო ამბავი მინდა გაგიზიაროთ.



ჩემს შვილს, სკოლის ასაკისა როცა იყო, ზაფხულობით ხშირად წყნეთში ვასვენებდი, რადგან არც მშობლების და არც ბებია-ბაბუების მხრივ და უფრო დიდ წინაპართა დროიდან... სოფელი არსად მოგვეპოვება, ჩემი წინაპრები ძალიან ადრე დაფუძნდნენ თბილისში; ამიტომ აგარაკებზე გატარებული ზაფხულის თვეები განსაკუთრებული და სასიამოვნოა ყოველთვის. ეს ამბავი 13-14 წლის წინანდელ ჩემს მონათხრობს უკავშირდება და სწორედ ამ წიგნით არის შთაგონებული.

ვიცით, ბავშვები რა ადვილად უმეგობრდებიან ერთმანეთს, ჩემმა შვილმაც იქ ფეხბურთის თამაშის დროს თა-

ვისი ასაკის, უკვე წამოზრდილი ბიჭები დაიმეგობრა და საღამოობით, როცა ბინდდებოდა, ხშირად იკრიბებოდნენ ჩვენს მიერ დაქირავებული სახლის გადახურულ დიდ აივანზე; როცა მოსმენის გუნებაზე იყვნენ, ვუყვებოდი ხოლმე პატარ-პატარა ამბებს მხატვრებზე, მწერლებზე და სხვა ათას რამეზე... ზოგიერთის მშობელთან მეც დავმეგობრდი და დღემდე გვაქვს კეთილი ურთიერთობა და სწორედ ერთ-ერთის შვილზე მინდა მოგიყვეთ...

ერთ დღეს უილიამ ფოლკნერიც გავიხსენე და წიგნიდან „გულის ჭიდილი საკუთარ თავთან“ ბავშვებს ფოლკნერის ინტერვიუებიდან რაღაც-რაღაცები მოვუყევი, თან ავუხსენი, ვინც იყო (ზოგს მგონი მხოლოდ სახელი გაეგო მისი)... ვისაც ეს წიგნი აქვს წაკითხული, დიდი ხანია, იცის, რომ აქ ამ დიდ მწერალთან ჩაწერილი ინტერვიუებიდან შესულია ბევრი მათგანი.



ჩემს მონათხრობებს შორის სხვა დანარჩენთან ერთად იყო ერთი ამბავიც დასახელებული წიგნიდან: ეს იყო კითხვაზე პასუხი, თუ რაში სჭირდებოდა ხანდახან ფოლკნერს ინტერვიუებისას ჩიბუხი.

მწერალი ამბობს, როცა რამეს მეკითხებიან და დრო მჭირდება მოსაფიქრებლად, ჩიბუხში თამბაქოს ვტენი და ამით დროს ვიგებ, მოფიქრების საშუალება მეძლევა, რათა პასუხი გავცეო (თუ სიტყვასიტყვით არ მახსოვს, ამ წიგნიდან ეს ადგილი, ვიცი, რომ აზრი ზუსტად გადმოვეცი)...

გავიდა წლები.

გიორგი მაშინ ჩემს ბიჭთან მეგობრობდა და დღემდე მეგობრობენ, სხვებთან ერთად მისმენდა; მერე დავაჟკაცებულები სხვადასხვა გზებს დაადგნენ... გიორგი ამჟამად გერმანიაში სწავლობს, ჩემმა შვილმა სწავლა დაამთავრა და დაბრუნდა უკვე, ის წავიდა ამ სასწავლო წლის დასაწყისში (ვიცი, ისიც დაბრუნდება), და ასე... მოძრაობენ ახალგაზრდები.

გერმანიის ერთ-ერთ უნივერსიტეტში კითხვები შეუდგენიათ. 20 კითხვიდან 20-ს ვინც სწორ პასუხს გასცემდა ყველაზე სწრაფად, დაფინანსებასაც ის მიიღებდა. ეს იყო ტესტები ზოგადი აზროვნებისა და განათლების შესახებ. სხვა დანარჩენთა შორის სამი მაგისტრანტი გამოიკვეთა, 19-19 კითხვაზე სწორად გაცემული პასუხით. მათ შორის იყო გიორგიც.

მეოცე კითხვა ასეთი დაისვა: რა განსხვავება იყო სტალინისა და ფოლკნერის მიერ მოწეულ ჩიბუხებს შორის (გერმანიას სტალინი რომ ახსოვდეს რა გასაკვირია?).

გიორგიმ გასცა მხოლოდ სწორი პასუხი, ეს იყო მეოცე, ერთადერთი სწორად გაცემული პასუხი და დამირეკა კიდეც იმავე დღეს: ქეთი დეიდა, რომ იცოდეთ, რითი მოვიგე სტიპენდია გერმანიაში, გაგიჟდებითო.

რა ჰქენი აბა მომიყევი-მეთქი.

თქვენ რომ წყნეთში ამბებს გვიყვებიდით, ის გამახსენდა ფოლკნერზე დასმულ კითხვასთან და პასუხი მაგის მიხედვით გავეციო.

გამაჟრიალა, ცრემლები გადმომცვივდა; ერთი ადგილი კი მახსოვს ზუსტად, სიტყვასიტყვით ამ წიგნიდან, შეიძლება იმიტომ, რომ ჩემთვის მნიშვნელოვან თემას ეხებოდა და ისიც მოვუყევი ახლა.

ფოლკნერი მწერლობასთან დაკავშირებით ამბობს: **„სამი რამ სჭირდება მწერალს: გამოცდილება, დაკვირვება და წარმოსახვაო“...**

რას წარმოვიდგენდი ამდენი წლის წინათ ჩემი მონათხრობი ამბავი ამ შედეგს თუ გამოიღებდა; მადლობა როსტომ ჩხეიძეს, არაერთი წიგნის საჩუქრად მოძღვნისთვის და უშუალოდ ამ წიგნისთვისაც ცალკე... მადლობა ამ წიგნის ორივე მთარგმნელს: როსტომ და პაატა ჩხეიძეებს – გიორგის მიერ ამ სტიპენდიის მოპოვებისათვის;

რა არ ხდება ქვეყანაზე, აი, მესმის მეხსიერება... არ ეკუთვნოდა გიორგის შემდეგი სასწავლო წლისთვის სწავლის დაფინანსებაო, ვერ იტყვის კაცი...

ქეთევან შენგელია

სანთელი

აკად. კ. ჩაჩავას მრავალპროფილიანი კლინიკა, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მეანობა-გინეკოლოგიის დეპარტამენტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა კლინიკის ღვაწლმოსილი მუშაკი ქალბატონი

ნუნუ კინტრაია

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

მეუღლე სულიკო ლიპარტია, და იზო ჭანტურია, შვილები თეონა, ნათია, თამარ ჭანტურიები, სიძეები მამუკა თოფურია, ამირან ბასილიძე, ჯიმი საბულუა, ცოლისძმები გიგლა, ჯამბული ლიპარტიები ოჯახებით, ცოლისდა გიული ლიპარტია, დათო, აკო ნატო ლიპარტიები, შვილიშვილები მარიამ თოფურია, ბარბარე, გაბრიელ ბასილიძეები, საბა საბულუა, დიშვილები ინეზა, პაატა, ხათუნა სიმონიები ოჯახებით, ახლო ნათესავები და კოლეგები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან ღვაწლმოსილი პედაგოგის

ოთარ რომანოზის ძე ჭანტურიას

გარდაცვალებას.
პანაშვიდი 25, 26 II, დაკრძალვა 27 II, აბაშა, მაცხოვრის კარში.

2021 წლის 26 მარტს პირველ საათზე მოწვეულია შპს „სამადლო“-ს (ს/კ204848733) პარტნიორთა კრება თბილისი, ნავთლუღის ჩიხი 9,1 სართული.

დღის წესრიგი:

საზოგადოების წევრის ნოდარ რამაზაშვილის (პ№1025000204) საზოგადოებიდან გასვლის საკითხი და მისი კუთვნილი წილის გატანა;

საზოგადოების ბოლო ხუთი წლის შემოსავალ-გასავლის განხილვა.

განცხადება
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ხვიჩა პაპიძის და ინგა ზაქარეიშვილის თანასაკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის თანამესაკუთრეები:** ხვიჩა პაპიძე (პ/ნ 61004021189), ქ. ქობულეთი, კომახიძის ქ. №15, ბინა №44 – ქონების 1/2 წილის მესაკუთრე;

ინგა ზაქარეიშვილი (პ/ნ 26001006328), ქობულეთი, კომახიძის ქ. №15, ბინა №44 – ქონების 1/2 წილის მესაკუთრე.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:

ქ. ქობულეთი,კომახიძის ქ. №15,ბინა №44 (საკადასტრო კოდი: 20.42.05.256.01.044https://naprweb.reestri.gov.ge/ - /searchhttps://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 11724.48 ლარი.
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2021 წლის 25 თებერვალი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2021 წლის 12 მარტი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.

5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP69527721; აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 695277

6. **მოვალე:** ხვიჩა პაპიძე (პ/ნ 61004021189), ქ. ქობულეთი, კომახიძის ქ. №15, ბინა №44.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
8. **აუქციონის პირობები:**

- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP69527721; ლოტის ნომერი: 695277).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2021 წლის 12 მარტის 10:00 საათამდე.

სოფიო შევარდნაძე დედობისთვის ემზადება

რუსულ მედიაში გავრცელდა ინფორმაცია საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის შვილიშვილის სოფიოს ორსულობის შესახებ.

სოფიო წლებია, რუსეთში ცხოვრობს და ჟურნალისტიკის სფეროში საკმაოდ წარმატებულად მოღვაწეობს. იგი რუსული ელიტის წარმომადგენელია და მასზე გავრცელებულ ნებისმიერ ამბავს მედია თვალყურს ადევნებს.

პრეზიდენტის 42 წლის შვილიშვილი მალე დედა გახდება. სოფო საგულდაგულად ცდილობს პირადი ცხოვრების გასაიდუმლოებას. ცნობილია, რომ იგი აქამდე ქორწინებაში არ ყოფილა და არც ახლა იცის მედიამ მისი შვილის მამის ვინაობის ამბავი.

ქართველი ქალბატონი მუდამ აცხადებდა, რომ მას ისეთი მამაკაცები ჰყავდა ოჯახში ბაბუისა და მამის სახით, რომ მისთვის ძნელი იყო მეორე ნახევრის შერჩევა.

ბედნიერი დედობა და მომავალი ვუსურვოთ შევარდნაძის შთამომავალს.

ჟერარ დეპარდიეს სექსუალური ძალადობისთვის უჩივიან

ცნობილ ფრანგ მსახიობს ჟერარ დეპარდიეს ახალგაზრდა მსახიობი გოგონა გაუპატიურებასა და სექსუალურ ძალადობაში სდებს ბრალს.

როგორც აღმოჩნდა ფაქტი 2018 წლის ზაფხულში მოხდა, მაგრამ შემდეგ გამოძიება შეწყდა დანაშაულის მტკიცებულებების არარსებობის გამო.

თუმცა 2020 წლის ზაფხულში პარიზის პროკურატურამ კვლავ განაახლა ეს საქმე, რომლის გამოძიება ჯერ არ დასრულებულა.

დეპარდიე, რა თქმა უნდა, ყველანაირ დანაშაულს უარყოფს. დაველოდოთ... იმედია, ყველასთვის საყვარელი მსახიობი გისოსებს მიღმა არ აღმოჩნდება.

მუნკის „კივილის“ საიდუმლო ამოხსნილია



ნორვეგიელი ფერმწერისა დ გრაფიკოსის, გენიალური მხატვრის ედვარდ მუნკის ნახატი „კივილის“ საიდუმლო ამოხსნილია — აცხადებს „New York Times“-ი.

ხელოვანმა ეს ტილო 1893 წელს შექმნა, მასზე დატანილია უცნაური წარწერა „ეს მხოლოდ გიჟს შეეძლო, შეექმნა“. მკვლევარები დიდხანს დაობდნენ, რომ ნახატი ვანდალური ფაქტის მხვერპლი იყო. თუმცა დღეს ნორვეგიის ხელოვნების მუზეუმი აცხადებს, რომ ეს მინაწერი თავად მუნკის ხელით არის დატანილი.

ედვარდ მუნკს „კივილის“ ოთხი სხვადასხვა ვერსია აქვს შექმნილი. 1893 წელს დაწერილი ნამუშევარი კი როგორც გაირკვა, ლეონარდო და ვინჩის „მონა ლიზას“ შემდეგ ყველაზე ცნობილი ფერწერული ტილოა მთელ მსოფლიოში.

ყოველგვარი რეკლამა გაზეთს ჰაერივით სჭირდება!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 102 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

თებერვლის ბოლოს ბაკურიანში 500-მდე სპორტსმენი გვესტუმრება

თებერვლის ბოლოს ბაკურიანში საერთაშორისო მნიშვნელობის სპორტული ღონისძიება იგეგმება, რომლის ფარგლებში, 500-მდე სპორტსმენი გვესტუმრება, — ამის შესახებ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ნათია თურნავამ უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს სხდომის დასრულების შემდეგ, ბრიფინგზე განაცხადა.

მისი თქმით, ღონისძიება პროტოკოლისა და უსაფრთხოების ყველა წესის დაცვით ჩატარდება.

„ძალიან კარგად გვესმის, რომ ეპიდვითარებიდან გამომდინარე, სეზონის დიდი ნაწილის განმავლობაში, ზამთრის ამ ოთხი ძირითადი კურორტის ჩაკეტილ მდგომარეობაში ყოფნა მოგვიწია, მაგრამ ხვალიდან ოთხივე ლოკაციაზე გაიხსნება სასტუმროები. ეს დროში ემთხვევა ისეთ მნიშვნელოვან სპორტულ და საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე ღონისძიებას, რომელიც ბაკურიანში არის თებერვლის ბოლოს, მარტის დასაწყისში, თავისუფალ სტილში მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთი ეტაპი — სქიქროსი და სნოუბორდ კროსი, ანუ თხილამურის და სნოუბორდის სახეობები. 500-მდე სპორტსმენი გვესტუმრება პროტოკოლის და უსაფრთხების ყველა წესის დაცვით. 8 მარტს ამას მოჰყვება საბაგიროების გახსნაც.“

დამნაშავეებს ბრალი წარუდგინეს

„საქართველოს პროკურატურამ, 2020 წლის 23 აგვისტოს შატილის გზაზე მომხდარი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის შედეგად 17 პირის გარდაცვალების და მოქალაქეთა ჯანმრთელობის დაზიანების ფაქტზე დაკავებულ ტურისტული კომპანიის დირექტორს და მიკროავტობუსის მესაკუთრეს ბრალდება წარუდგინა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 2020 წლის 23 აგვისტოს ტურისტული სააგენტოს — შპს „ჩიფ თრეველ ჯორჯიას“ მიერ ორგანიზებული ტურისტული

მარშრუტით, თბილისიდან შატილში მიკროავტობუსით 20 პირი გაემგზავრა. უკან დაბრუნებისას, სატრანსპორტო საშუალების გაუმართაობის მიზეზით, მიკროავტობუსი ჯერ გზაზე მდგარ ავტომანქანას შეეჯახა, ხოლო შემდეგ 60 მეტრის სიღრმის ხევში ჩავარდა, რის შედეგადაც 17 პირი გარდაიცვალა, მათ შორის მიკროავტობუსის მძღოლი, ხოლო სამმა მოქალაქემ სიცოცხლისთვის სახიფათო, მძიმე ხარისხის დაზიანება მიიღო“, — აცხადებენ პროკურატურაში.

როდის დასრულდება პანდემია?



მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ევროპის რეგიონის ხელმძღვანელი ჰანს კლუგე აცხადებს, რომ კოვიდ-პანდემია 2022 წლის დასაწყისისთვის დასასრულს მიუახლოვდება.

მისი თქმით ყველაზე ცუდი სცენარი დედამიწამ უკვე გადაიარა. დღეს უკვე საკმაოდ დიდი ინფორმაცია გვაქვს ამ ვერაგ მტერზე, ვისწავლეთ ამ უცნობი ვირუსის უკეთესად მართვა, აგრეთვე სერიოზული წინსვლებია ვაქცინასთან და მედიკამენტებთან დაკავშირებითაც — აცხადებს კლუგე.

რა თქმა უნდა, კორონავირუსი ასე ადვილად არ გაქრება, მაგრამ 2022 წლიდან იგი გაცილებით დასუსტებული იქნება და მსოფლიო ჯანდაცვაც ბევრად წინ იქნება ამ დაავადებასთან ბრძოლაში.

შეგახსენებთ, რომ დღესდღეობით 112,1 მილიონმა ადამიანმა გადაიტანა ეს დაავადება და სამწუხაროდ 2.4 მილიონი კაცის სიცოცხლე იმსხვერპა.

მოამზადა
რუსუდან ქოგულიამ

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქოგულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორი ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 1 მარტს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.3169; ევრო - 4.0294;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.6732;
100 რუბლი - 4.4671; თურქული ლირა - 0.4708;
აზერბაიჯანული მანათი - 1.9492;
1000 სომხური დრამი - 6.3112.

ამინდი 25 თებერვლისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-9,	დღე	+2
მთიანი რაიონები -	ღამე	-9,	დღე	+0
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-1	დღე	+8
მთიანი რაიონები -	ღამე	-7,	დღე	+4
თბილისი:	ღამე	-5,	დღე	+1

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge